საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 3 ივნისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (**15—2**) **200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4**. შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 122 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 122

გულდაწყვეტილნი ანიჩკა, ვანო და გრიშა ქეიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, საყვარელი ბიძის,

ალექსი ივანეს ძე მდინარაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (1772—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დები ლუკიანა, ლილი, მარია, და ძმები მიშა და ილია ჩხეტიები აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ოთხ ივნისს დანიშნულია დ. გალში სამურზაყანოს მაზრაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პეტრე-პავლეს ეკლესიაში მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ძმის თფილისის სადარაჯო ათასეულის უფროს ლეიტენანტის

მირონი ივანეს ძე ჩხეტიასი

სულის მოსახსენებლათ. (1771—1—1)

ახალციხის გვარდიის საოლქო შტაბი, ათასეულის აფიცრები და გვარდიელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ პირველ ივნისს ს. დანისპარეულში გმირულათ დაეცა ბრძოლის ველზე ათასეულის უფროსი

ვასილი პავლეს ძე მაქსიმოვი

დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული ცალკე. (დ. —1—1)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი სევდით აუწყებს სახალხო გვარდიელთ და მოქალაქეთ, რომ დღეს 3 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე რკინის გზის საავათმყოფოდან გამოსვენებული იქნება ძმათა სასაფლაოზე გმირი რკინის გზის უბნის გვარდიელი

ვლადიმერ გორგიშვილი

რესპუბლიკის საზღვრების დაცვის დროს მიღებულ ჭრილობისაგან გარდაცვალებულის. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე. (ნ. 1—1)

განცხადება

გზატკეცილების სამმართველოსათვის საჭიროა

დიდი ფაეტონი და ამაში შებმული **ორი ცხენი**

მსურველთ მიჰმართონ სამმართველოს საანგარიშო ნაწილის უფროსს სერგიევის ქუჩა, № 8. (ნ. 2—1)

მასწავლებელთა საყურადღებოთ

მიწათ-მოქმედების სამინისტრო იწვევს ზაფხულის განმავლობაში მსურველთ

აგრარულ რეფორმის გატარებაზე სამუშაოთ.

მსურველები მიიღებიან სარაიონო მდივნებისა, ინსტრუქტორებისა და კანტროლიორის თანამდებობაზე. ჯამაგირები არა ნაკლები ოთხი ათასი მანეთისა. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეენახებათ თავიანთი ჯამაგირებიც. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში. აქვე უნდა გამოიგზავნოს წერილობითი განცხადებებიც და თხოვნებიც 15 ივნისამდე. (ნ. 4—1)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა
კავშირი

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო ქალაქთა კავშირს

მიიღოს თავის საწყობებში

საზღვარ გარეთიდან გამოგზავნილი საქონელი

ტრანზიტის უფლების შენარჩუნებით

ესე იგი, ამ საქონლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან შეიძლება

განსაკუთრებული ნებართვის აულებლათ.

განცხადება სატრანზიტო საქონლის ქალაქთა კავშირის საწყობებში ჩაბარების შესახებ და ამის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღებისათვის უნდა მიმართოთ:

თფილისში ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში: გოგოლის ქ. № 51, ტელ. 11—54.

ბათუმში ქალაქთა კავშირის აგენტს ს. გ. სპექტორს. სმეკალოვის ქუჩა, № 13, ბინა ვარბელოვისა.

ფოთი— დროებით ნ. ღლონტს, ქალაქის სასურსათო განყოფილებაში. (ნ. 3—1)

ამა წლის მაისში ჩამოსხმული ახალი
ბორჯომის წყალი

წყლის ხარისხსა და ღირსებაზე ვკისრულობ ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

პირველი ივნისიდან ჩემს კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24) იყიდება

მხოლოდ ახლათ ჩამოსხმული ბორჯომის წყალი

შემდეგ ფასებში: დიდი ბორჯომის ბოთლი 16 მანეთი (ბოთლით), ასეთივე ბოთლი ყინულით გაცივებული 20 მანეთი (ბოთლით), დიდი სირჩა ჭიქა ყინულით გაცივებული 5 მანეთი. რომ საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს ისარგებლოს წყლით, ამისთვის მოსამსახურეთა მორიგეობაა დაწესებული კანტორაში [illegible] დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე. ერთად ერთი წარმომადგენელი კონტრაგენტი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროსი **დ. ე. ქებაძე.**

(1774—1—1)

რკინის გზის უბნის სახალხო გვარდიის შტაბი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 3 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე მოხდება დაკრძალვა ძვირფასი ამხანაგის სახალხო გვარდიელის

ვლადიმერ გესარიონის ძე გორგიშვილისა

გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავათმყოფოდან. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე. (1—1)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო პარტიული ყრილობის მოწვევა ერთი კვირით გადასდოს. ყრილობა გაიხსნება 13 ივნისს, კვირას 12 საათზე.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარტიისა.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენებანი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა.
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმათ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

1) სთხოვს ყველა თავის თანაშემწეთ ყულაბები და შემოწირულებათა ასაკრეფი წიგნაკები დაუყოვნებლივ უკანვე დააბრუნონ სასახლეში, კომიტეტის კანცელარიაში.

2) ყველა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, კლუბებმა და კერძო პირებმა ფრონტის საჭიროებისათვის გაღებული თანხა ეხლავე უნდა შეიტანონ კომიტეტის კასაში, სასახლეში.

3) პროვინციის კომიტეტებმა, სადაც ფრონტის დღეები იყო მოწყობილი, უნდა საჩქაროთ გადმოგზავნონ შეგროვილი თანხები თფილისში მთავარ კომიტეტის ადრესით სასახლეში.

4) ყველა დაწესებულებანი, რომელთაც საჩუქრები აქვთ დამზადებული ან გაგზავნა აქვთ განზრახული, ვალდებულნი არიან აცნობონ რამდენსა და რომელ ფრონტზე აპირებიან გაგზავნონ, უიმისოთ რკინის გზა ნივთებს არ მიიღებს.

5) დღეიდან ფრონტის საჭიროებისთვის შემოწირულებათა შეგროვება კომიტეტის ნება დაურთველად არ შეიძლება. თუ ეს პირობა დაცულ არ არის, ყველას ვსთხოვთ აცნობონ მთავარ კომიტეტს.

ყველას საყურადღებოთ

შემოწირულებათა დაწვრილებითი სია ფულითა და ნივთით შემოტანილი კომიტეტის საწყობში განცხადებულ იქნება ყველა გაზეთებში და აუცილებლად „საქართველოს რესპუბლიკაში“. თუ რაიმე გამოურკვევლობას ექნეს ადგილი, აცნობოს კომიტეტს. (1767—3—2)

განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს 1920 წ. დილის 12 საათზე იგი იწვევს კონკურენციას შემდეგ სამუშაოებზე:

1) ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვადასხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა-ნახშირი და შეშა).

2) სათბობ მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინებზე.

3) დატვირთვა ორთქლმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათუმი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, თფილისი, სანაინი და დროებითი საწყობი. ვადა სამუშაოებისა ამა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე 1920 წ.

განცხადებები უნდა შემოტანილ ან გაგზავნილი იქნეს თითოეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. თფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების მიღება ან გამოთხოვა ზემო აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ. (ნ. 3—2)

რუსეთი და სპარსეთი

უდიდესი სიმპტომატიური, მაჩვენებელი მნიშვნელობა აქვს რუსეთის „წითელ“ ფლოტის მიერ სპარსეთის ქალაქის ენზელის დაჭერას. შიდა რუსეთში და ადერბეიჯანში მდგომ „წითელ“ ჯარების ზურგს უკან საქმე არც ისე მაგრათ არის, რომ საბჭოთა რუსეთს შეეძლოს ისეთი შორეული ოპერაციების დაწყება, როგორიც არის სპარსეთის პორტის დაჭერა. პოლონეთი შემოჭრილია საბჭოთა რუსეთის საზღვრებში და მოსკოვის მთავრობას ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება ბრძოლა პოლონეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. უკრაინა ამდგარია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მისი დასავლეთის ნახევარი ამ უკანასკნელმა ერთი თვის განმავლობაშიაც ვერ შეინარჩუნა. ადერბეიჯანში უკვე აჯანყება დაიწყო „წითელ არმიის“ წინააღმდეგ და არავინ იცის, რით დამთავრდება. შინაური საქმეები კატასტროფიულ მდგომარეობაშია და დღითი დღე უარესდება. ამისთანა მდგომარეობაში მოსკოვიდან თითქმის 5000 ვერსით დაშორებული ენზელისაკენ ალაშქრება საოცარ ავანტიურად უნდა მოგვეჩვენოს.

მაგრამ ამ ავანტიურას აქვს თავისი აზრი და თავისი ახსნა. მკაფიოდ გამოუხატავს ამ გალაშქრების მიზანი კასპიის ზღვის ფლოტის უფროსს, რომელსაც უთქვამს: „ენზელი უნდა საბჭოთა პორტათ გადიქცეს, კასპიის ზღვა კი — საბჭოთა ზღვათ“.

ეს ფორმულა მეტათ დამახასიათებელი და მრავალმეტყველია. რომ ჩაუკვირდეთ რუსეთის პოლიტიკას კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარე ადგილებში, დარწმუნდებით, რომ ეს პოლიტიკა სწორეთ იქით იყო მიმართული, რომ კასპიის ზღვა რუსეთის ზღვათ ყოფილიყო გადაქცეული. კასპიის იმიერ მხარის და ლენქორანის დაპყრობით, რუსეთმა კიდევაც სამი მეოთხედით განახორციელა ეს საქმე. კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილის ხელში ჩაგდებაში მას გზაში გადაეღობა ინგლისი. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მონარქისტულ რუსეთს შინ და გარეთ იმოდენა აწეწილ-დაწეწილი საქმეები გაუჩნდა, რომ იგი ბოლო დროს ვერც კი იოცნებებდა სპარსეთის მიმართ დაპყრობით პოლიტიკის წარმოებაზე. რუსეთს თავზე დაატყდა უსაშინელესი მსოფლიო ომი, რომელმაც წარმოშვა უმთავრესი რევოლიუცია გამანადგურებელი სამოქალაქო ომით. რევოლიუციამ სახელმწიფოს სათავეში დააყენა პარტია, რომლის დროშაზედაც დაწერილი იყო იმპერიალიზმის დამხობა და ომიანობის მოსპობა. და დღეს ჩვენ საკვირველს ამბავს ვხედავთ: ისტორიულ აუცილებლობას სწორეთ ეს პარტია გამოჰყავს მონარქიულ რუსეთის მემკვიდრის როლში, სწორეთ ის ადებს კისრად იმ წმინდა იმპერიალისტურ საქმეს, რომლის განხორციელებაც ვერ შესძლო მონარქიულმა რუსეთმა.

არსებითად არავითარი განსხვავება არ არის იმ ლოზუნგში, რომლითაც მონარქისტული რუსეთი მიიწევდა სპარსეთისაკენ, და იმ ლოზუნგს შორის, რომლითაც დღეს კომუნისტური რუსეთი იპყრობს ენზელს. „კასპიის ზღვა უნდა იყოს რუსული ზღვა“, ამბობდა პირველი. „კასპიის ზღვა უნდა გახდეს საბჭოთა ზღვა“, ამბობენ კომუნისტები.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ის გულუბრყვილო, მაგრამ მოკლე და მკაფიო გამოხატულება, რომელიც მიუციათ ენზელისაკენ გამგზავრებისათვის ბაქოს კომუნისტებს: „სპარსეთისაკენ ბრინჯისათვის და ინგლისელების საცემრად“! ასეთი ყოფილა მათი საომარი ყიჟინა. სხვა მიზანი არც ძველ რუსეთის იმპერიალიზმს ჰქონდა. ისიც სპარსეთისაკენ მიიწევდა სწორედ „ბრინჯისათვის“, ე. ი. რუსეთის საქონლის შეზიდვის და საჭირო საქონლის გამოზიდვისათვის. ამის განხორციელებას გზაში ეღობებოდა ინგლისის იმპერიალიზმი და ძველ რუსეთის პოლიტიკაც ინგლისისადმი სიძულვილით იყო გამსჭვალული.

მონარქისტული რუსეთი და კომუნისტური რუსეთი ერთნაირი იმპერიალისტური მიზნებით მიიწევენ სპარსეთისაკენ. მაგრამ კომუნისტური რუსეთის ჯარების მისწრაფებას უფრო მარტივი და უფრო მახლობელი მიზნები აქვს. „ბრინჯისათვის“. ეს სწორეთ იმ სულისკვეთების გამოხატულებაა, რომელიც ბაქოში მდგომ „წითელ არმიის“ ნაწილებს ამოძრავებს. დამშეული, ჩაუცმელ-დაუხურავი „წითელი“ ჯარის კაცები ხალისიანად მიდიან იმ ადგილებისაკენ, რომლებსაც რუსეთისებური ნგრევა არ დასტეხიათ თავს, რომლებშიაც შეიძლება რისამე შოვნა და კუჭის გაძღომა. ფართო სახელმწიფოებრივი მიზნები ამისთანა ჯარისათვის სრულებით უცხოა. შეიჭრებიან, გამოზიდავენ, რის გამოზიდვასაც შესძლებენ და თავის მიზანს შესრულებულად ჩასთვლიან. ეს წაავავს უფრო თარეშს იმ ჯარისკაცებისას, რომლებიც სამშობლო მიწა-წყალს მოშორებიან და რომლებსაც სამხედრო მოქმედება პროფესიად გადუქცევიათ.

რომ ეს ასეა, მტკიცდება გარეშე საქმეთა „ნარკომის“ ჩიჩერინის წერილიდანაც, რომელიც მან სპარსეთის მთავრობას მისწერა: ამ წერილში ჩიჩერინი აღიარებს, რომ ეს ექსპედიცია თავისით მოუწყვია კასპიის ფლოტის უფროსს და მოსკოვის მთავრობას არც კი შეეკითხვია. მიუხედავათ ამ მობოდიშებისა, ჩიჩერინი ამ ექსპედიციას მაინც ამართლებს.

ამნაირად კომუნისტური რუსეთი განაგრძობს მონარქისტულ რუსეთის სპარსეთისაკენ მიწევას, მაგრამ დღეს ამ მიწევას უფრო თარეშის ხასიათი აქვს და რთულ პოლიტიკურ გეგმის ბეჭედი არ აჩნევია.

საბჭოთა რუსეთი და საქართველო

(საუბარი ამხ. გრ. ურატაძესთან)

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნებულ ამხ. გრ. ურატაძეს, რომელმაც 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთთან.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე:

— როგორ შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელნი საქართველოს მხრით საზავო წინადადებას—ამხ. გრ. ურატაძემ უპასუხა:

— მე სწორედ მაშინ მივემგზავრებოდი მოსკოვისკენ, როდესაც საბჭოთა ჯარები დენიკინის ლაშქარს ეკატერინოდარის და ნოვოროსიისკის რაიონებში ანადგურებდნენ. ამ ადგილებში გავლის დროს მე მოწმე გავხდი დენიკინის უკან დახეულ და შემდეგ საბჭოთა ჯარის დიდი ძალების განუწყვეტელი მოძრაობისა და ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჩემი მგზავრობა, განსაკუთრებით როსტოვამდე, მეტათ გაძნელებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ მიუხედავათ ამისა, საბჭოთა ძალა-უფლების ადგილობრივი წარმომადგენელნი, როგორც კი გაეცნობოდნენ ჩემი მოგზაურობის მიზანს, განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდნენ, რათა შეძლებისადაგვარად გაეადვილებიათ და დაეჩქარებინათ ჩემი მგზავრობა მოსკოვისკენ. საბჭოთა ყველა პასუხისმგებელი მოღვაწე, რომლებთანაც გზაში მიხდებოდა შეხვედრა, ჩემ მისიას აშკარა თანაგრძნობით ეგებებოდნენ და ყოველგვარ დახმარებას მიწევდნენ. როსტოვში შემთხვევით შევხვდი დასავლეთ ფრონტის სარდალს საბ. რუსეთის ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს სოკოლნიკოვს, რომელიც სამარშრუტო მატარებლით მიემგზავრებოდა მოსკოვში. გაიგო თუ არა როსტოვის რევკომის წარმომადგენლისაგან სოკოლნიკოვმა ჩემი მისია, მან განკარგულება გასცა, რომ ჩემთვის ცალკე ვაგონი მიებათ მისი მატარებლისათვის. ამან საშუალება მომცა მოსკოვამდე ამ დროისთვის სულ მოკლე ხანში ჩასვლისა.

მოსკოვში ჩამოსვლის მეორე დღესვე მე ვინახულე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი და მისი მოადგილე კარახანი, რომელთაც გავაცანი ჩემი მისია და რწმუნებანი. ჩემს წინადადებას ისეთის თანაგრძნობით შეხვდნენ, რომ მეორე დღესვე შესაძლებელი გახდა არსებითად მოლაპარაკების დაწყება.

პირველ სხდომაზედვე გამოირკვა, რომ ორივე მხარეს გულწრფელად სურს ზავის ჩამოგდება და არც ერთი მხარე არ აპირებს მეორე მხარის ინტერესების ან დემოკრატიულ ზავის ძირითად პრინციპების საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა წამოყენებას. ასეთი, ორივე მხრით საერთო შეხედულების გამორკვევის შემდეგ, სავსებით შესაძლებელი იყო რამდენიმე სხდომაზე მოლაპარაკების დამთავრება და საზავო ხელშეკრულების პირობათა შემუშავება.

ეს ხელშეკრულება, რომლის სრული ტექსტიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული თფილისში, სრულიად განსხვავდება ყველა სხვა ხელშეკრულებათაგან, სწორედ იმით, რომ იგი აშენებულია მტკიცე დემოკრატიულ პრინციპებზე.

ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ, როგორც საბჭოთა პრესა, ისე რუსეთის ყველა სხვა დემოკრატიული წრეები.

საქართველოსთან ზავის ჩამოგდების გამო „პრავდა“ სხვათა შორის სწერდა: „7 მაისს ხელი მოაწერეს ზავს საქართველოსა და რუსეთს შორის. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ჩამოვიდა პატარა „ჩემოდნით“, ინახულა ამხ. ჩიჩერინი, მოილაპარაკეს და 2—3 სხდომის შემდეგ ზავი შეკრეს. საქართველოს წარმომადგენელმა მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულებას და უკანვე გაემგზავრა, აი, რას ნიშნავს, როდესაც დემოკრატიებს გულწრფელად სურთ ზავი, რა ადვილად და ჩქარა გამოიძებნება საერთო ენა“.

საქართველოსთან ზავის დადების თანაგრძნობის წერილი უძღვნა „ბედნოტა“-მაც.

განსაკუთრებულ თანაგრძნობით შეხვდნენ ზავს მოსკოვის მუშათა წრეები.

მე ვიყავი რამდენიმე უბანში, სადაც მუშებმა ჩემდამი დიდი თანაგრძნობა გამოხატეს, წრფელი სიხარული გამოსთქვეს ზავის ჩამოგდების გამო. მათ აგრეთვე დიდათ აინტერესებდათ ის, თუ რა ხდება ჩვენში და მრავალ კითხვებს მაძლევდნენ საქართველოს მდგომარეობის, ჩვენი ცნობილი პარტიულ მოღვაწეთა, როგორც მაგ. ჟორდანიას, წერეთლის და ჩხეიძის და სხ. შესახებ.

მე რასაკვირველია, ვცდილობდი შეძლებისდაგვარად დაწვრილებით გამეცნო მოსკოვის წრეებისთვის ჩვენში საქმის გარემოება. სამწუხაროდ, რუსეთში ჩვენ შესახებ ან არაფერი იციან, ან კიდევ—თუ აქვთ რაიმე ცნობები, სრულიად დამახინჯებული და ყალბი. ჩემი დაწვრილებითი ცნობებისთვის ჩვენი მუშაობის, ჩვენი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის და ჩვენში გატარებულ რეფორმების შესახებ პირველათ არ სურდათ დაეჯერებინათ—იმდენათ მოწამლულია რუსეთის დემოკრატიულ წრეების საზოგადოებრივი აზრი ჩვენს შესახებ ყალბი ინფორმაციით. მათ იმის დაჯერებაც კი არ სურდათ, რომ ჩვენში მოხდენილია მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ, როდესაც ჩვენსა და რუსეთს შორის ცოტად თუ ბევრად ნორმალური ურთიერთობა დამყარდება და რუსეთის პოლიტიკურ წრეებს შეეძლება მიეცემათ მიიღონ სწორი ინფორმაცია ჩვენს შესახებ, მაშინ გაიფანტება იმ სიცრუისა და სიყალბის ატმოსფერა, რომელშიაც გახვეულია დემოკრატიული რუსეთის საზოგადოებრივი აზრი; ეს ყოველ ეჭვს გარეშე, გააძლიერებს ეხლანდელ რუსეთის ჩვენდამი სიმპატიებს და ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას ჩვენ ხალხთა შორის.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში [illegible] ვათავსებთ ამხ. გრ. ურატაძის [illegible] საბჭოთა რუსეთის [illegible] სახებ.

დღეს

პირველ თათბირს, რომელიც რუსეთის დელეგაციასთან ერთად ლონდონში გაიმართა, დაესწრენ: ლოიდ ჯორჯი, ბონარ-ლოუ, ლორდ კერზონი და სხ.

კრასინის საუბარს ლოიდ ჯორჯთან საფრანგეთის წარმომადგენელიც დაესწრო.

სპას კონფერენცია დანიშნულია 21 ივნისისათვის.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა კიევის რაიონში მ ური მოიგერია.

გენერალ რი შტაბის სამხედრო ცნობა.

2 ივნისი.

ხულო-დანისპარეულის რაიონში 1 ივნისის განმავლობაში ბანდებთან შეტაკება გრძელდებოდა.

სხვა მიმართულებებზე ხიწყნარე იყო.

პრესა

„ეწმაკმი" (№ 27) ა. აბელიანი სწერს იმის შესახებ, თუ როგორ აგროვებს ოსმალეთი სამხედრო ძალებს ანტანტის და პატარა ერების წინააღმდეგ:

„ოსმალეთი დამარცხების შემდეგ, უნდა განიარაღებულიყო, მაგრამ სულ სხვა ხდება. ოსმალეთმა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ არა თუ არ დამალა თავისი ჯარები, არამედ—შეუდგა მის გაძლიერებას, რაშიაც მან დიდი უნარი გამოიჩინა.

„ამ მიზნის მისაღწევათ ოსმალეთმა გააკეთა ფარსი მოკავშირეთა წინაშე. სულთანის მთავრობამ ისე მოახერხა, რომ წინანდელი მინისტრი ქემალ ფაშა „აჯანყებულათ" გამოაცხადა, და მართლაც, ქემალ ფაშა „აჯანყდა". იგი სტამბოლიდან გაემგზავრა მცირე აზიაში, ოსმალეთის გულში, და თავის გარშემო მოაგროვა ახალი ჯარები.

უსაქმოთ არ დარჩა აგრეთვე სტამბოლის მთავრობა. იგი მოკავშირეებს არწმუნებდა, რომ ძალა არა აქვს ქემალის დასამარცხებლათ. სულთანის მთავრობა არ თხოვდა მოკავშირეებს, რომ მათი მოწოდებულ ძალებით ჩაექრო ქემალის მოძრაობა, არამედ—თხოვდა, რომ დაეხმარონ ახალი ჯარების მოსაწყობად ეროვნული მოძრაობის საბოლოოთ მოსასპობათ. მოკავშირენი ყოყმანობდნენ და არ უნდოდათ მიეცათ ამის უფლება. ამ ხანებში ქემალის ჯარებმა დაიწყეს კილიკიაში სომხების ჟლეტა. აშფოთდა სომეხთა საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ მოკავშირეთათვის სომეხთა მღელვარებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. როცა აღელდა ევროპის საზოგადოებრივი აზრიც, მაშინ ევროპის მმართველთ არ შეეძლოთ ამისთვის მნიშვნელობა არ მიეცათ, ამ მიზნით მოკავშირეებმა „დაიკავეს" სტამბოლი და მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, რომ ბოლო მოეღოს ქემალ-ფაშის „ბრბოებს". ქემალ-ფაშის მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველათ ოსმალეთის მთავრობას უნდა უფლება მიელო მოკავშირეთა მიერ არა მარტო თავის ჯარების შენახვისა, არამედ ახალ ჯარების მომატებისაც. მოკავშირეებმა ეს უფლება მისცეს ოსმალეთის მთავრობას, და ამ უკანასკნელმა დაიწყო ძალების მოგროვება „ქემალის წინააღმდეგ საბრძოლველათ". ასე, ერთი მხრივ ქემალ ფაშა, მეორე მხრით ოსმალეთის მთავრობა ჯარებს ქმნიან. სხვა სიტყვით, ოსმლეთი განიარაღების მაგიერ, მოკავშირეთა თვალწინ და მათი შეთანხმებით დღეს გართულია ქვეყნის ძალების შექმნის და გაძლიერების საქმეში.

„მაგრამ შეიძლება მოიპოვებოდნენ იმისთანები, რომლებიც დაიჯერებენ, რომ მართლა ოსმალეთის მთავრობა ჯარს აგროვებს ქემალის წინააღმდეგ.

„ქემალი იბრძვის ოსმალურ საქმისთვის და ოსმალეთის არც ერთი მთავრობა არ უღალატებს ამ საქმეს და არ იბრძვის ქემალის წინააღმდეგ.

„როგორც ოსმალეთის მთავრობის, ისე იმ მთავრობის ბრძანებით აჯანყებულ ქემალ ფაშას აქვთ ერთი მიზანი—შექმნან ოსმალური ძლიერი ლაშქარი საბრძოლველათ.

„ოსმალეთის ასეთ მზადებას არ შეუძლიან არ შეაწუხოს სომხეთი, საქართველო და საბერძნეთი".

დამფუძნებელი კრება

1 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა მთავრობის მოამბის „საქართველოს რესპუბლიკის" შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ და საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მოხდა (მე-2) მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა საქართველოს სახელმწიფო ბანკის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ს. მდივანის მოხსენებით მოხდა (მეორე) მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა სამხედრო მფრინავთათვის ჰაერში ფრენისთვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ.

ქ. ნინიძის მოხსენებით განხილულ იქნა (მეორეთ) კანონ-პროექტი მევენახეობის და მეღვინეობის თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტების გაუქმების და ალაინის, კონდოლის და ჩუმლაყის სანერგეების ერობათათვის გადაცემის შესახებ.

მისივე მოხსენებით, უკამათოდ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

...რიძეს მოხსენებით მიღებულ ...ოექტი სასამართლოს და- ...ახით, მიიღოს საზოგადოებების 406 მუხ. ...გახსნაში, რომელიც მოხდა 06 მუხ. მე-11 შესახებ. ამ კანონ- ...ში ვექილებმა ...უნდა გადაი-

ხადონ 40 მან. ნაცვლად 3000 მან. და 65 მან. ნაცვლად 5600 მან. ეს ფული ჩაირიცხება ხაზინის შემოსავალში.

მოხსენება საქართველოს სენატის 1919 წლის განმავლობაში მოქმედების შესახებ.

ს რ. ჯავარიძე (იურიდიულ კომ. წევრი). თანახმად სენატის დებულების მე-8 მუხლისა, სენატმა თავის მოქმედების ანგარიში წლის განმავლობაში უნდა წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას. აქ წარმოდგენილი ანგარიში ეხება სენატის მოღვაწეობას 1919 წლის ბოლომდე. სენატი არჩეულ იქნა 1919 წ. 7 ოქტომბერს. პრეზიდიუმის არჩევნები მოხდა 23 ოქტომბერს. პირველი გამაწესრიგებელი სხდომა სენატს ჰქონდა 30 ოქტომბერს. სწორედ ამ დღიდან იწყება სენატის რეგულიარული მუშაობა. ორი თვის განმავლობაში სენატს ქონდა 62 სხდომა. სულ საკასაციო საქმეები შევიდა ამ ხნის განმავლობაში სენატში 438. ასეთი ბევრი საქმეები აიხსნება მით, რომ დაგროვილ იყო დიდძალი საკასაციო საჩივრები. სენატს გაურჩევია 185 საქმე. ამ საქმეებში ერთი მესამედი განაჩენისა გაუქმებულ იქნა. ჰქონდა ადგილი აგრეთვე ზოგიერთ საქმეების მოსპობას. სენატს დაკისრებული აქვს სასამართლო დაწესებულებათა რევიზია და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება. მოხდა ახალციხის მომრიგებელ მოსამართლის რევიზია, რომელიც გადაყენებულ და პასუხის გებაში იქნა მიცემული. რაც შეეხება სხვა კუთხეების მოსამართლეების მოქმედების რევიზიას, ის გადადებულ იქნა. მიზეზი პირველ ყოვლისა იყო ის, რომ სენატს ბევრი დაგროვილი საქმე უნდა გაერჩია. და მეორეც ის, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, სულ მცირეოდენი ხანია რაც დაარსდა ჩვენში და საკმაო მასალა არც კი იყო დაგროვილი, რომ რევიზია მომხდარიყო. სენატს დღიდან დაარსებისა წლის ბოლომდე ჰქონია სულ 4 სამუშაო დღე და ამ ხნის განმავლობაში მოუხდენია მას 62 სხდომა, გაურჩევია 185 საქმე ე. ი. ყოველ დღე 4 საქმე, ასე რომ მუშაობა მეტად მეტად ინტენსიური ყოფილა ვინც კი თვალ ყურს ადევნებდა სენატის მუშაობას, იგი კმაყოფილი დარჩება მით. სენატმა გამოიჩინა არა თუ მუშაობის უნარი, არამედ ცოდნაც და მორალური გავლენაც დიდი აქვს მას. მან გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს და იმედაც არის კიდევ უფრო მეტ საქმიანობას გამოიჩენს.

ლ. შენგელაია. ძველი რეჟიმის დროს სენატი იცავდა ბიუროკრატიულ კანონებს. ბიუროკრატია კი ცდილობდა სასამართლოს დამოუკიდებლობა გაეუქმებინა. ეს იყო ძველად და გვეგონა ასეთ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა. სენატის წინააღმდეგ გაილაშქრა ქუთაისის „სოც. დემოკრატმა." იქ ეწერა: სენატი შეუწყობს ხელს ანტი-დემოკრატიულ სულის გამეფებას (კ. ნინიძე ეგ იყო აზრი ერთი ამხანაგისა და არა მთელი პარტიისა) სენატორთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა ბევრად ცუდია. რამდენიმე სენატორმა გაანება თავი სამსახურს იმიტომ, რომ ჯამაგირით არ არიან უზრუნველყოფილნი. სენატს არ აქვს თავისი საკუთარი კასა, მისი კრედიტები იუსტიციის სამინისტროს ხელშია. სენატის დებულების თანახმად სენატს არ აქვს უფლება დაწესებულებათა რევიზია მოახდინოს. მთავრობა კი ავალებს ამა თუ იმ სენატორს რევიზია მოახდინოს. რევიზიის დანიშვნის უფლება ან თვით სენატს უნდა მიენიჭოს, ანდა დამფუძნებელ კრებას. იუსტიციის მინისტრი ერევა სენატის ფუნქციებში. პალატის პროკურორმა განაცხადა ამ დღებში მოსამართლეთა ყრილობაზე სენატი ხელს გვიშლის ვიმუშაოთო. იუსტიციის მინისტრს მიუწერია ერთ მომრიგებელ მოსამართლესთვის, შეაჩერე ეს საქმეო, მეორე მომრიგებელ მოსამართლეს კი წინადადება მისცა, სამსახურიდან გადიო.

რ. არსენიძე (იუსტიციის მინისტრი). სენატის მოხსენებას არ ესაჭიროება მინისტრის დაცვა. აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სამინისტრო ავიწროებს სენატსო. მე უნდა განვაცხადო, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არა ჰქონია. ყველანი, იქნება იგი მინისტრი, მისი თანაშემწე თუ სხვა, ასრულებენ სენატის დადგენილებას, მიუხედავათ იმისა ეთანხმებიან თუ არა სენატის ამა თუ იმ განმარტებას. ერთი არის აზრი სენატის ამა თუ იმ დადგენილების შესახებ, მეორე არის ასრულება მისი. და ვერავინ ვერ იტყვის, რომ სენატის დადგენილება შეჩერებული ყოფილიყვეს. აქ ამბობდენ, სენატორები არ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი. მათ არ აქვთ თავის საკუთარი კასა, ამ მხრივაც სამინისტროს ემორჩილებიან. ნუთუ დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ სენატორი იმავე კასიდან იღებდეს ჯამაგირს, რომლიდანაც იღებენ სამინისტროს მოხელენი. მაშ, მინისტრი, რომელიც იღებს ამა თუ იმ კასიდან ჯამაგირს დამოკიდებული ყოფილა კასირიდან. თუ ასე გავყევით, საჭირო იქნება სენატისათვის ცალკე ბიუჯეტის დაარსება, მაშინ საკუთარი კასა უნდა დაარსოს ოლქის სასამართლომ, პალატამ.

რადგანაც თქვენ ამაში ხედავთ დამოუკიდებლობის გაუქმებას. ეს არ არის პრინციპიალური საკითხი და ამით ამა თუ იმ ორგანოს დამოუკიდებლობა არ განისაზღვრება. აქ სთქვეს, მთავრობის თავმჯდომარემ სენატორის რევიზია დანიშნა და ეს კი თვით სენატის კომპეტენციაში უნდა შედიოდესო. სანამ სენატის დებულებას მივიღებდით, გამოცემული იყო კანონი, რომლის თანახმადაც მთავრობის თავმჯდომარეს ევალებოდა თავის შეხედულებისამებრ რევიზიის დანიშვნა. ეს კანონი არ ყოფილა გაუქმებული და იგი ძალაში არის. რევიზია, რომელიც ინიშნება მთავრობის თავმჯდომარის მიერ, დამოუკიდებელია. რევიზორს თვით კანონი ანიჭებს ფართე უფლებებს და ის არავისაგან დამოკიდებული არ არის. და ეს საქმითაც დამტკიცდა და მომხდენილმა რევიზიებმა ყველამ კარგი შედეგები მოგვცა. შენგელაიას ჰგონია მთავრობა თვითონ ნიშნავს რევიზორებს და თვით რევიზიის გარეშე რჩებაო. მთავრობას ჰყავს რევიზია, ეს არის ხალხის ნდობით აღჭურვილი დამფუძნებელი კრება, რომელსაც შეუძლიან მთავრობის გადაყენებაც, პასუხისგებაში მიცემაც და სხვა. აქ სთქვეს, მთავრობამ სენატორს გამომძიებლის ფუნქციები დააკისრაო, ეს არ არის მართალი. რევიზორი დანიშნული მთავრობის მიერ თავისუფალია, ვისაც უნდა დააკისრებს გამომძიებლის ფუნქციას და როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ, ისე დაიწყებს საქმეს. მე მისაყვედურეს—სენატის წინააღმდეგი ხარო და ამას ასაბუთებენ იმით, რომ თქვენმა პალატის პროკურორმა ყრილობაზე განაცხადა, სენატი ხელს გვიშლისო. მერე რა არის აქ, ერთმა წევრმა სასამართლოს უწყებისამ სენატის დებულების წინააღმდეგ გაილაშქროს. განა ჩვენ აზრთა სხვადასხვაობა უნდა დავახშოთ? აზრის გამოთქმის უფლება უნდა მოესპოთ. სასამართლოში ყველანი რომ ერთგვარათ მსჯელობდნენ, ეს იქნებოდა სწორედ დამოკიდებულება. აქ სთქვეს: მინისტრი ერევა მოსამართლეების საქმეში და ერთ მოსამართლეს მისწერა კიდეც საქმე შეაჩერეო. გაუგიათ ზარის ხმა და არ იციან საიდან მოისმის იგი. როგორც გახსოვთ, აქ მიღებულ იქნა დეკრეტი შინაურ ნასყიდობით ნაყიდ მიწების დამტკიცების შეჩერების შესახებ. როდესაც მე შევიტყე, რომ ზოგიერთი მოსამართლენი წინააღმდეგ ამ დეკრეტისა მოქმედებდნენ და რადგანაც მიღებული დეკრეტი არ იყო დაბეჭდილი, მე ყველა მოსამართლეებს დეპეშით ვიცნობე არსებული კანონი. და ეს ასეც უნდა მოხდეს. ჩემი მოვალეობაა, რომ ყველა მოსამართლემ იცოდეს ის კანონი, რომელიც იცემა დამფუძნებელი კრების მიერ. და თუ ვინ როგორ არჩევს ამა თუ იმ საქმეს, ეს მე აღარ შემეხება და არც ვერევი. აქ სთქვეს აგრეთვე, რომ მინისტრმა ერთ მოსამართლეს წინადადებით მიმართა სამსახურიდან გადადექიო. დიახ, საქმე შემდეგში იყო: ერთი მოსამართლის ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაული. მან ~~ესა იყო სასამართ~~ლო და როდესაც ეს გამოირკვა, მე წინადადებით მივმართე და ვურჩიე გადამდგარიყო თანამდებობიდან და წარსდგომოდა სასამართლოს. მან ეს არ მოისურვა და მე მისი საქმე სენატს გადავეცი. ფორმალურათაც რომ არ ვიყო მართალი, მორალურად, პოლიტიკურად აქ ყოველ მხრივ ჩემს მხარეზეა სიმართლე. მე არ მინდოდა პოლიტიკურ სკანდალის მოხდენა, არ მინდოდა ახალ ინსტიტუტისთვის სახელის გატეხა, იმ ინსტიტუტისთვის, რომელიც თვით ხალხის წიაღიდან არის გამოსული და რომელთაც ხალხის წარმომადგენლები ირჩევენ აქ სთქვეს ფრაქციაში მინისტრებს უსაყვედურებენ წევრები. იქ შეხლა-შეჯახებას აქვს ადგილი, აქ კი გამოდიან და ყველაფერს უწონებენო. დიახ, ჩვენ იქ დიდი სიამოვნებით ვიღებთ საყვედურს. იქ გვიჩვენებენ იმ გზას, რომლითაც უნდა ვიაროთ, აქ კი გამოვდივართ როგორც მთლიანი მიმდინარეობა, რომელმაც წამოაყენა მთავრობა და რომელიც პასუხისმგებელია თქვენს წინაშე (ტაში).

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ სენატმა ვერ გამოიჩინა საჭირო აქტივობა. ახალციხის რევიზია მეტად ჩქარა დასრულდა და ბევრმა ვერ მოასწრო საჭირო მასალების მიწოდება. ახალქალაქში რევიზია არ მოხდენის და ეს კი მით უფრო საჭირო იყო. ახალქალაქი მოწყვეტილია ცენტრს და როგორც ყველა განაპირა კუთხეში უკანონობას მეტი ადგილი აქვს, სენატს დააკისრეს რევიზია, მან ეს არ იკისრა სენატის დებულებას ეწინააღმდეგებაო. მთავრობის დავალებით სენატორები ახდენდნენ რევიზიას და ამით ისინი საგანგებო მოხელეებათ გადაიქცნენ. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა თვით სენატი, როგორც ასეთი, ყოფილიყო რევიზიის ხელმძღვანელი. ახლა კი სენატორები ემორჩილებიან სამინისტროებს. ორატორი თავის სიტყვას დაასკვნის იმით, რომ სენატს მიენიჭოს კანონით ყველა დაწესებულებათა რევიზიის უფლება.

ევ. ჯაფარიძე (სენატის თავმჯ. ამხანაგი). აღნიშნავს, რომ სენატმა ორი თვის განმავლობაში ბევრი საქმე გააკეთა. თუ სასამართლოს დაწესებულებათა რევიზია არ მოხდა ეს იმიტომ, როგორც აქ განაცხადა მომხსენებელმა, უდიდით მასალების დაგროვებას ზაფხულამდე. მოხდა ახალციხის მაზრაში მართვა-გამგეობის რევიზია. ახალქალაქში სასამართლოს რევიზია სენატის მიერ მონდობილი მქონდა მე, სადაც დიდი თოვლების გამო გამგზავრება შეუძლებელი იყო. აქ სთქვეს, სენატორები გადაიქცნენ მთავრობის თავმჯდომარის მოხელეებათო. 30 ივნისის კანონის თანახმად მთავრობის თავმჯდომარეს ევალება თავის შეხედულებისამებრ დააკისროს ამა თუ იმას რევიზიის მოხდენა. რევიზორი დამოუკიდებელია და ის არავისაც არ ექვემდებარება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სენატი დამოკიდებული ყოფილიყოს ვისმესაგან და ეს არც მომავალში იქნება.

ს. ჯავარიძე უპასუხებს რა ოპონენტებს, აღნიშნავს, რომ სიმართლეს მოკლებულია მათი მტკიცება, თითქოს მმართველ პარტიას სენატი ბუშათ მიაჩნდეს, ასე რომ ყოფილიყო საქმე, არც შემოიღებდა სენატს. ამაში მას ძალას არავინ ატანდა. იტყოდა, ეს რევოლიუციის ხანაში არ არის საჭიროვ და არც იქნებოდა სენატი. ვეშაპელი იძახის სენატს პატივი უნდა ვცეთო და მთელი მისი ლაპარაკიდან კი გამოირკვა ის, რომ იგი პატივს არ სცემს სენატს. ვეშაპელი ამბობს: სენატი პასიური გამოდგაო. მას ჰქონდა რევიზიის უფლება და ეს არ მოიმოქმედა ძალით. სენატის დებულებაში აშკარად არის ნათქვამი, რომ სენატს უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს უწყებათა რევიზიისა, სენატმა კანონიერათ განაცხადა, რომ მას არ აქვს უფლება სხვა დაწესებულებათა რევიზია მოახდინოს. სენატის წევრთა მატერიალური მხარის გაუმჯობესება დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციას დასმული აქვს და რევიზიის საკითხიც გადასინჯული იქნება. შემდეგ ამისა ორატორი ამტკიცებს, რომ სენატის საქმეებში არავინ არ ერევა და იგი სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა.

კამათი შეწყდა. მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: მოისმინა რა სენატის 1919 წლის ანგარიში, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას სენატის მოღვაწეობით და გადადის მორიგ საკითხებზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 ივნისი.

ბოლშევიკების ცნობები.

აზერბეიჯანის დახმარება რუსეთს.

მოსკოვი. 2 ივნ. აზერბეიჯანის „კომპარტია" პოლონეთის თეთრგვარდიელებთან საბრძოლველად თავის წევრთა 10 პროც. მობილიზაცია მოახდინა. საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში 4 ნახ. მილიონი ფუთი ნავთი გაიგზავნა.

რუსეთის დელეგაცია ინგლისში.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები კრასინის თავმჯდომარეობით ლონდონში მივიდნენ. მოხდა პირველი თათბირი რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. თათბირს დაესწრო ლოიდ ჯორჯი, ბონარლოუ, ლორდ კერზონი, მინისტრი რობერტი.

სამხედრო ცნობები.

კიევის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ცდა... ტარაშჩის რაიონში ჩვენი ნაწილები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ქ. ტირაშჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 და ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსტზე. ვოზნის რაიონში ბრძოლები ჩვენს სასარგებლოთ თავდება.

ფრანგული ცნობები.

ზავისათვის.

პაპმა ენციკლიკით მიმართა მთელ ~~ქვეყანას ქრისტიანულ მშვიდობიანობისა~~ და ზავის ჩამოსაგდებათ.

სამართალში მიცემა.

ლიდში სამართალში მისცეს გერმანელი სამხედრო პირები.

კრასინის პირველი საუბარი ლოიდ ჯორჯთან.

ორშაბათს, დღისით, კრასინს პირველი საუბარი ქონდა ლოიდ ჯორჯთან რუსეთთან ეკონომიური დამოკიდებულობის აღდგენის შესახებ.

სპას კონფერენცია.

კონფერენცია სპაში დანიშნულია ივნისის 21-თვის. იტალიელები ამ ვადის თანახმანი არიან.

მოხელეთა კავშირის შესახებ.

(დასასრული არ მივიღია)... მინისტრების... სამშაბათ დილით საბოლოოდ მოიწონა კანონ-პროექტი მოხელეთა კავშირის წესდების შესახებ. ეს პროექტი იმავე დღესვე პალატის ბიუროში წარადგინეს. პროექტი სისწორით განსაზღვრავს საზოგადო სამსახურში მყოფ პირთა უფლებებსა და ვალდებულებებს. იგი აწესებს საზოგადო სამსახურის საერთო პრინციპებს. ყველა მუხლში გამოხატულია ძლიერი სურვილი მოხელის დაცვისა ყოველგვარი ავტორიტეტისაგან. მთავრობა საჭიროთ სთვლის გააძლიეროს პასუხისმგებლობის პრინციპი მოხელისა, რომელსაც პროექტი აძლევს ყველა დისციპლინარულ ხასიათის გარანტიას.

მინისტრთა საბჭო.

სამშაბათს დილით მინისტრთა საბჭოს პოლ დეშანელი თავმჯდომარეობდა.

დანიის მადლობა საფრანგეთს.

ალპიის მსროლელთა და საფრანგეთის მმუსრავზე მყოფ მეზღვაურთა საპატივცემლოდ გამართულ ვახშამზე დანიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა, რომელშიაც მადლობა გადაუხადა საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს ყველა იმისათვის, რაც მოკავშირეებმა დანიისათვის გააკეთეს.

რუსეთის დელეგაცია და საფრანგეთი.

კრასინის ლოიდ ჯორჯთან საუბარს საფრანგეთის წარმომადგენელიც დაესწრო.

ახალი ამბები

ყრილობის გადადება. ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ერთი კვირით გადასდოს პარტიული ყრილობის მოწვევა. ყრილობა გაიხსნება კვირას, 13 ივნისს შუადღის 12 ს.

◆ **ფრონტზე გაიგზავნა** საჩუქრების დიდი ტრანსპორტები: 1) სადახლოში—ტრანსპორტს გაჰყვა ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე სერგო ელიოზიშვილი, 2) სანდარში—პროფესიონალურ კავშირების და ვაჭარ მრეწველობის ტრანსპორტები. გაჰყვნენ: პროფ. კავშ. წარმ. სალირაშვილი და დეპუტატები: ლ. ბოლქვაძე, მ. კავალიოვი, ე. მახეილაძისა და სხ. 3) ფოილოში—ვაჭარ-მრეწველობის ტრანსპორტი.

◆ **აზერბეიჯანში წამსვლელთა საყურადღებოთ.** თბილისის გენერალ-გუბერნატორი აცხადებს აზერბეიჯანში წამსვლელთა საყურადღებოთ, რომ ამიერიდან მატარებელი გავა თბილისიდან დილის 10 საათზე. საცალფეხო გზა არის გაკეთებული, მგზავრებს აღარ მოუხდებათ ბორნით გადასვლა და არც ფეხით მისვლა მტკვრის ნაპირამდე. ნებართვების მიცემა გენ.-გუბერნატორის კანცელარიაში ძველი წესით სწარმოებს.

◆ **მეტყევს** ბამქიჩითის და სადახლოს რაიონებში 24 მაისს დაუზარალებია 14 სოფელი.

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი** (პლეხანოვის პრ. № 123). დღეს, 3 ივნისს, ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიული სურათები. ფასი წევრებისათვის 5 მან., სტუმრებისათვის 15 მ.

◆ **აზერბეიჯანის ფრონტზე** მყოფი მეორე იმერეთის სახალხო გვარდიის ბატალიონის გვარდიელები მწუხარებით შეხვდნენ პოეტ ჩხიკვაძის უდროოდ დაკარგვას. გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას, და სტირიან ნაცნობ ამხანაგებთან ერთად. ამხ. მონდობილებით სამსონ და აკაკი.

◆ **დღეს**, საღამოს სრულ 6 საათზე მოხდება მე-4 რაიონული პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ამხ. ნ. რამიშვილი გააკეთებს მოხსენებას მომენტზე.

◆ **დღეს**, საღ. 4 ს. მოხდება მე-7 რაიონულ ს. დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც ამხ. ალ. ლომთათიძე გააკეთებს მოხსენებას მომენტზე.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სოხუმის სამხედრო-საგანგებო სასამართლომ ოჩემჩირში ქაჯაიის და გალი მატკოვს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა მაისის 30.

◆ **ფრონტისთვის.** პოეტმა მაზურკევიჩმა ფრონტის დამხმარე კომიტეტს ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ შესწირა 5000 მან.

◆ **სეტყვისაგან დაზარალებულთათვის.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ თელავის ერობის განკარგულებაში გადასდო საჭირო თანხა სეტყვისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. სამინისტრო გზავნის საგანგებო კომისიას დაზარალებულთა აღნუსხავად დახმარების აღმოსაჩენად.

◆ **ნავთის დამზარებლებ**ის წასაქეზებლად, რათა მეტი ნავთი დაარიგონ დღის განმავლობაში, ქალაქის გამგეობამ დაადგინა დარიგებულ ნავთის თვითეულ ფუთზე მიეცეთ დამატებითი ჯილდო 25 კ. ჯამაგირის გარდა.

◆ **მათხოვრობის წინააღმდეგ.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1) აეკრძალოს ბავშვებს ქუჩებში წანწალი და მათხოვრობა, 2) ის პირნი, რომელნიც გაგზავნიან ბავშვებს ქუჩებში სამათხოვროთ, დაუყონებლივ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, 3) მშობლები, რომელთაც არ შეუძლიანთ ბავშვების რჩენა, უნდა ჩაეწერონ ქალაქის გამგეობის შრომის და სოციალურ დახმარების განყოფილებაში, საიდანაც მიიღებენ შესაფერ დახმარებას.

◆ **საპყრობილეთა გაუმჯობესება.** იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით საპყრობილეთა ინსპექცია შეუდგა საპყრობილეთა შენობის რადიკალურ გაუმჯობესებას. პირველ ყოვლისა გარეგნულად მოწესრიგებულ უნდა იქნას თბილისის № 1 საპყრობილე (ორთაჭალაში). უკანასკნელი ზევითა სართულიდან ტუსაღები სხვა სართულებში არიან გადაყვანილი და სწარმოებს სწრაფი მუშაობა სართულის რემონტის და გადაკეთებისათვის. შემდეგ გადაკეთდება სხვა სართულებში მოთავსებული კამერები. მთელის ციხის რემონტი 1 თვეში უნდა იქნას დამთავრებული.

◆ **ინსტრუქცია მილიციისათვის.** სასამართლო პალატის პროკურორმა მ. ა. ტატიშვილმა შეადგინა სახელმძღვანელო ინსტრუქცია ქალაქის, რკინის გზის და მაზრის მილიციის მოხელეთათვის. ინსტრუქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაურიგდა სათანადო სამმართველოებს.

◆ **ტუსაღების გაჩხრეკა.** 28 მაისს, ღამით მოხდა ჩხრეკა თბილისის № 1 საპყრობილეს ტუსაღებისა. გაჩხრეკილ იქნა მთელი ციხე. აღმოაჩინეს მრავალი ტუსაღების მიერ გადამალული საგანი, მათ შორის სამსხრევი იარაღი.

◆ **შ. მაღლაკელიძის საქმე.** ყოფილ ადმინისტრაციის ინსპექტორის შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე დანიშნულია განსახილველად თბილისის ოლქის სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ივლისის 5-ს.

◆ **„გმირთა კრებული".** სამხედრო სამინისტრო სთხოვს ჯარისა და გვარდიის ნაწილების უფროსებს, რომ სამხედრო სამინისტროში პოლკ. აბესაძეს მოაწოდონ ცნობები ის გმირ ოფიცერთა, ჯარისკაცთა და გვარდიელთა, რომელთაც თავი ისახელეს თავისი სიმამაცით მუხანათურ მტერთან ბრძოლაში. ცნობებში აღნიშნული უნდა იყოს სახელი, მამის სახელი, გვარი, რომელი სოფლიდან და მაზრიდან არის, რომელ ნაწილში მსახურებს, რა სიმამაცე ჩაიდინა, სასურველია ფოტოგრაფიული სურათებიც. გმირები შეტანილ იქნება იმ „გმირთა კრებულში", რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს.

◆ **სომხური წყაროების ცნობით.** ჩრდილო-კავკასიის საგანგებო კომისარმა ორჯონიკიძემ ოფიციალური ნოტით მოსთხოვა სომხეთის მთავრობას დაუყონებლივ გადასცეს საბჭოთა აზერბეიჯანს ყარაბაღი და ზანგეზურის მაზრის ნაწილი. სომხეთის მთავრობამ ამის გამო ნოტით მიმართა ჩიჩერინს მოსკოვში დაატყობინებს, რომ სომხეთის ხალხი არასდროს არ დაემორჩილება აზერბეიჯანის ტირანიას და რომ [illegible] ყოველთვის სომხეთს [illegible]

◆ **დემოკრატიული კლუბი** ქალაქის გამგეობის დადგენილებით სრულიად იქნა განთავისუფლებული წარსული წლის სანიტარულ გადასახადისაგან.

◆ **ქურდობა.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მთავრობის გარაჟის შოფერი ამირაჯიბი, რომელსაც ამავე გარაჟიდან მოეპარა ავტომობილის ნაწილები. მოპარული ნივთები აღმოჩენილ იქნა.

◆ **„მომავალი"** რედაქციამ მიიღო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ჯგუფის ჟურნალი „მომავალი", რომელშიაც მოთავსებულია წერილები: ალ. გურიელის, ან. შილაკაძისა ვასილ გორგაძისა, ს. მაკალათიასი. ლექსები: ბაბილინასი, ღრუბელისა, ს. აბულაძისი, დემნა შენგელაიასი. ჟურნალი შეიცავს 32 გვერდს და ღირს 25 მან.

◆ **ახალი დრამატიული წრე.** შაბათს, 5 ივნისს, ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი, № 123) ახალი დრამატიული წრის მიერ ნინო გამრეკელის, ან. შოთაძის, ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ორიგინალური დრამა ს. ჭანტურიშვილისა „ბურუსი".

◆ **სისხლის სამართლის მილიციას** 1 ივნისს განუცხადეს, რომ „ქალაქთა კავშირის" კოოპერატივიდან საქონელი მოიპარეს. მილიციამ გამოარკვია, რომ ბოროტ მოქმედებას სისტემატიურათ ჰქონია ადგილი ზემოხსენებულ კოოპერატივში. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ქურდობაში მონაწილეობა მიუღია კოოპერატივის მოსამსახურეებს: ვალენტინ კულიკოვს, მაკარი ველიჩკოს, ივ ანჩინს, ვიქ. ტკიჩენკოს. ზემოხსენებული პირნი შეპყრობილ იქნენ.

— **ბოროტმოქმედებისათვის.** თბილისის ქალაქის პროკურორის ბრძანების თანახმად შეიპყრეს და ციხეში მოათავსეს თბილისის საბაჟოს ხაზინადარი ნიკოლოზ მჭედლოვი და ყოფილი ბუხჰალტერი საბაჟოსი ალ. მაღლაკელიძე. მათ ბრალდებათ სამსახურში ბოროტ მოქმედების ჩადენა.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. ვერის მუშათა კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე არჩეული იქნება პარტიული ყრილობის დელეგატები და განხილულ იქნება სხვა კითხვები. კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი პარტიის წევრიც უნდა დაესწროს.

„წითელ" აზერბეიჯანში

ნარიმანოვი.

მაისის ბოლო რიცხვებში მოსკოვიდან ბაქოში ჩამოვიდა ნარიმანოვი. ჩამოსვლისთანავე ნარიმანოვმა სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე ერთ-ერთ მეჩეთში, ~~რომელშიაც მშვიდობას მან აღუთქვა~~ წესრიგის დამყარება, ბრძოლა ძარცვაგლეჯისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ალაგი არ ექნება დახვრეტას და რომ საბჭოთა მთავრობა აზერბეიჯანში ჰუმანიურ მიზნებით მოვიდაო. „ჩვენ სრულებითაც არ მოვდიოდით ბაქოში,—განაცხადა ნარიმანოვმა,—რომ ძველი მთავრობა უფრო სინდისიერი და თვითმოქმედი ყოფილიყო, საბჭოთა რუსეთს ესაჭიროებოდა მხოლოდ ნავთი; და რომ მას ნავთი მიეღო. საჭირო იყო აზერბეიჯანში ისეთი მთავრობა ყოფილიყო, რომელიც სპეკულიაციის მიზნებით ხელოვნურად არ ასწევდა ნავთის ფასებს და ენერგიულათ და მოხერხებულად იმუშავებდა რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულებათა აღდგენის საქმეზე. აზერბეიჯანში ასეთი მთავრობა არ იყო; თქვენ ჩაფლული იყავით სპეკულიაცია-მექრთამეობაში და ჩვენც იძულებული შევიქენით თქვენთვის საბჭოთა მთავრობა მოგვეცა"...

შემდეგ ნარიმანოვმა განაცხადა, რომ მე-11 არმია მას ემორჩილება და იმოქმედებს მისი ბრძანების თანახმად. ნამდვილად კი, ეს ასე არ არის: მე-11 არმიაში ბევრია პოლიტიკური და სხვაგვარი კომისიები, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლად, თავიანთ სურვილების თანახმად მოქმედებენ.

აჯანყებები და შეტაკებები.

შეტაკებები დაიწყო ბოლშევიკების შემოსვლის პირველ დღეებიდანვე, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეტაკებებმა უკანასკნელ ხანებში მიიღო. 20 მაისს ნავსადგურში,—მაშინ, როდესაც სხვადასხ. საქონლით დატვირთული ბოლშევიკების გემი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო, შეგროვდნენ მუშები და ძალათ გადმოტვირთეს გემი; გადმოტვირთეს ბრინჯი, ჩაი, ბამბა, გამხმარი ხილი, მანუფაქტურა და სხვა. გემზე მხოლოდ ნავთი დასტოვეს. ბოლშევიკებს ყველაფერი მიაქვთ ბაქოდან. ამ გარემოებამ გამოიწვია საქონლის საშინლათ გაძვირება, რის წინააღმდეგაც მუშებმა და გლეხებმა პროტესტი განაცხადეს. უკმაყოფილების დასაშოშმინებლათ მოწვეულ იქნა მიტინგები, მაგრამ უშედეგოთ. 22 მაისს მღელვარება პროვინციასაც მოედო.

22 მაისს ბოლშევიკებმა იარაღი აჰყარეს ასკერებს და მცხოვრებთ. ამან გამოიწვია ამბოხება, რომელიც უცებ მოედო გლეხების ფართო წრეებს და საშიში სახე მიიღო. აზერბეიჯანის მე-3 ცხენოსანმა რაზმმა გლეხების დახმარებით იარაღი აჰყარა ბოლშევიკურ რაზმს, რიცხვით 3.000 კაცს. ბოლშევიკებმა მიატოვეს ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები და გაიქცნენ.

რამოდენიმე ხნის წინათ ბაქოში გამოიწვიეს გენ.-გუბერნატორი სულთანოვი და ბოლშევიკურ მთავრობის ბრძანების თანახმად დააპატიმრეს. ამან დიდი მოძრაობა გამოიწვია მცხოვრებლებში. ქ. შუშაში და მის რაიონებში იდგა მე-32 საბჭოთა დივიზიის ნაწილი—რიცხვით

3000 ჯარისკაცი: მუსულმანებმა დაიკავეს ასკერანი და ამრიგათ, მოსწყვიტეს შუშელი ბალშევიკები ევლახელებს.

ამასთანავე განჯაში ბრუნდებოდენ საქართველოს ფრონტიდან წითელ არმიელთა ეშელონები, რომლებიც პოლონეთის ფრონტისაკენ მიეშურებოდნენ. ამავე დროს ნუხიდან, გეოქჩაიდან და ზაქათალიდან წითელარმიელთა ზოგიერთი ნაწილები ბაქოსაკენ მიეშურებოდენ და თან მიჰქონდათ სურსათ-სანოვაგე და სხვა ნაძარცვი საქონელი. აღნიშნულ ამბებმა ნიადაგი მოუმზადეს იმ მდგომარეობას, რამაც შემდეგ ხელი შეუწყო განჯის აჯანყებას. („გ")

აჯანყება განჯის რაიონში.

1 ივნისს აქსტაფიდან ჩამოსულმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი უამბო: მე გ-ა ვემგზავრე ტფილისიდან რვა დღის წინათ. მინდოდა ბაქოში ჩასვლა, მაგრამ იძულებული გავხდი აქსტაფიდან უკან დავბრუნებულიყავ.

იქ დავყავი 6 დღე და თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაცია ცდილობდა ჩემთვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა გამგზავრება ბაქოსკენ. აქსტაფა მთელი ამ ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო არამც თუ ბაქოს, არამედ—განჯასაც.

ბაქოს შინაგან საქმეთა „ნარკომი" სულთანოვი 7 დღის წინათ ჯავშნიან მატარებლით გაემგზავრა ბაქოში.

მოსაუბრეს ნამდვილი წყაროებიდან შეუტყვია, რომ სულთანოვს ვერ მიუღწევია განჯამდეც კი. ერთი კვირის წინად თფილისიდან გამგზავრებული სპარსეთის ელჩიც აქსტაფაში დარჩენილა. მისი აზრით კონსული იძულებული შეიქნება ისევ თფილისში დაბრუნდეს. გლეხების გადმოცემით, აქსტაფას და განჯას შუა ბევრ ალაგას რკინის გზა გაფუჭებულია. საგრძნობლათ არის დაზიანებული გზა შამხორთან. არც აქსტაფაში და არც ფოილოში არაფერი იშოვება. სრულიად არ მოიძებნება შაქარი. დიდი ნაკლებობა არის პურის. გლეხებს არ მოაქვთ სანოვაგე სადგურზე. ადგილობრივ მცხოვრებთა ლაპარაკიდან ირკვევა, რომ გლეხები მტრულის თვალით უყურებენ აღერბეიჯანის ახალ ბატონპატრონთ.

თვით აღერბეიჯანის კომუნისტებიც უკმაყოფილონი არიან ბაქოს კომუნისტების საქციელით.

რუსეთის საბჭოთა ჯარები, რომლებიც დაბანაკებული არიან აქსტაფის რაიონში, თავს მტრების ბანაკში გრძნობენ და ძლიერაც აღელვებული არიან. საბჭოთა ჯარს საფრთხე მოელის ყაზახის მხრიდანაც. მთელ ამ მხარეში ნერვიული მდგომარეობაა, საბჭოთა ჯარები მთლად მოწყვეტილი არიან ბაქოს და განჯას და თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, მათ მოუხდებათ ტყვეთ დანებდენ სხვას, მაგრამ არა აღერბეიჯანის ტერიტორიაზე.

ჩვენს მოსაუბრეს შეუმჩნევია აქსტაფაში ყოფნის დროს, რომ ეშელონები მიემგზავრებოდნენ საქართველოს საზღვრებიდან ბაქოსაკენ.

„ტანი" საქართველოს შესახებ

ფრანგულ გაზ. „ტან"-ის 9 მაისის ნომერში მოთავსებულია წერილი ერთერთ რედაქტორის—ბ-ნ პ. ჟანტიზონისა, რომელიც ამას წინად ჩვენს ქვეყანაში იყო: მოგვყავს ამ წერილიდან ზოგიერთი ალაგები.

„როდესაც რუსეთის იმპერია დაეცა, იწყებს ჟანტიზონი, და ლენინ-ტროცკის პოლიტიკამ შერყია სახელმწიფოებრივი შენობა,—ბევრი წვრილი ერები გამოეყვენ რუსეთს და დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება. ზოგიერთება მაშინვე ცნობილი იქნენ და შევიდენ ხალხთა ოჯახში, ხოლო ზოგიერთის დამოუკიდებლობა ჯერ მხოლოდ „დე ფაკტოთ" არის ცნობილი. ამათ რიცხვს ეკუთვნის საქართველოც. შემდეგ ავტორი სწერს: საქართველო ის მხარეა, რომელსაც დასავლეთის დემოკრატიამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობის თვალთახედვით საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო წონასწორობისათვის. საქართველო და აღერბეიჯანი წარმოადგენენ ერთ ყელს, რომელიც აზიასა და ევროპას აკავშირებს. სავაჭრო მიზნებისათვის ეს ყველაზე უფრო მოკლე გზაა ხმელთა შუა ზღვის რაიონისა და ცენტრალურ აზიას შორის.

პოლიტიკურის მოსაზრებით ეს არის ახალი სახელმწიფო ორ კონტინენტს შორის, რომელიც ხელს უშლის მოწინააღმდეგე იმპერიალისტურ ძალთა შეტაკებებს; საქართველო ეხლაც დიდ მისსიას ასრულებს, როდესაც ხელს უშლის ბალშევიკებს შეუერთდნენ ოსმალეთის ნაციონალისტებს და ამით მინიმუმამდე დაიყვანონ მოკავშირე დემოკრატების გამარჯვება. როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს რესპუბლიკა მომავალში მოწოდებულია შეასრულოს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური როლი.

შემდეგ ჟანტანზონი ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხს და ამბობს: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ხშირად ადარებენ შვეიცარიას. ასეთ შედარებას არავითარი მოსაზრება არ ამართლებს. შვეიცარიაში თუ ფრანგული, იტალიური და გერმანული კულტურა დაახლოვებით განვითარების ერთ დონეზე სდგას,—კავკასიაში არაფერი ამის მსგავსი არ არის: აქ კულტუროსან, განვითარებულ ხალხების გვერდით თქვენ მოხვდებით ისეთ ხალხებს, რომლებიც მეტათ ჩამორჩენილნი არიან და ჯერ კიდევ აზიურ ფანატიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთის დაშლას, რომელიც დესპოტიზმის ჯარებით აკავშირებდა ამ ხალხებს,—ბუნებრივათ ის მოყვა, რომ ეს ხალხები დასცილდენ ერთმანეთს. ამასთანავე, საქართველოს სახელმწიფო, დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეწევა სახელმწიფოებრივ მუშაობას, იჩენს დიდ უნარს, აწარმოებს უანგარო და მშვიდობიან პოლიტიკას და იჩენს ისეთ სიმტკიცეს, რაც ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული. შემდეგ ჟანტიზონი ეხება საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ დენიკინისა და ბალშევიკების საფრთხეს და განაგრძობს: ამ მხრივ რესპუბლიკის მდგომარეობა შესაძლებელია ტრაგიკული გახდეს. მაგრამ ის ნაციონალური ალტყინება, რასაც ქართველები იჩენენ სახელმწიფოებრივ მუშაობის დროს, იმედს იძლევა, რომ საქართველო უვნებლათ გამოვა ამ განსაცდელისაგანაც. ასევე სწამს ბ-ნ ნოე ჟორდანიასაც,—ათავებს ჟანტიზონი, რომელმაც ჩემთან საუბარის დროს განაცხადა. „თუ ჩვენ შევინარჩუნებთ ერთსულოვნებას და უზრუნველყოფილნი ვიქნებით სურსათ-სანოვაგითა და იარაღით,— ამ შემთხვევაში ჩვენ მტკიცეთ ვიდგებით ჩვენს ალაგზე"-ო.

ნოე რამიშვილის სიტყვა

(წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 28 მაისის სხდომაზე.)

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ეს გამოსვლა არაჩვეულებრივია იმით, რომ ჩვენ გვისაყვედურებენ: თქვენ არ გსურთ იქონიოთ ორგანო, რომელიც გაავრცელებს მთავრობის აზრებს და ამავე დროს ჩვენ გვისაყვედურებენ იმას, რომ იქ შევქმენით ისეთი პირობები, როცა ეს მოამბე ემსახურება მარტო მთავრობის პოლიტიკის პოპულიარიზაციას და ადასტურებს მის ყოველ ნაბიჯებს. (შენგელაია: საიდან გამოიყვანეთ) ეს რომ ასე არის, ამის საბუთს ახლავე მოისმენთ. მე პირველათ მესმის, რომ დეპუტატი, რომელიც ოპოზიციონური პარტიის წარმომადგენელია, მთავრობას უსაყვედურებს, რომ თქვენ არ გსურთ შექმნათ საკუთარი ორგანო. მე ვეკითხები დამფუძნებელ კრებას: რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, რომ მოვქცეულიყავით ისე, როგორც იქცეოდა „მუსავატის" პარტია აღერბეიჯანში, რომ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" პარტიულ ორგანოდ გადაგვექცია? მაშინ ბ. შენგელაია გამოვიდოდა და იტყოდა: თქვენ ხალხის ფულს ხარჯავთ იმისათვის, რომ გაავრცელოთ სოციალ-დემოკრატიული აზრები. რომ ეს ასე მოხდებოდა, ამას გვიმტკიცებს დამფუძნებელ კრების ერთი კომისია.

მე სახეში მაქვს საპროპაგანდო კომისია. თქვენ იცით, რომ ამ კომისის წევრებად არიან ოპოზიციის პარტიის წარმომადგენლებიც. ოპოზიციის პარტიის წარმომადგენლებმა, უმთავრესად სოციალისტ-რევოლიუციონერებმა განაცხადეს, რომ როდესაც ჩვენ გავემგზავრებით პროვინციაში, ჩვენ იქ ვერ დავიცავთ იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს დამფუძნებელი კრება და მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა (შენგელაია ადგილიდან: ამახინჯებთ) მე სიამოვნებით მოვისმენ საწინააღმდეგო განცხადებას, მაგრამ თქვენ ამის საშუალება არ გაქვთ. ეს ფაქტია, ეს იცის ყველამ, საპროპაგანდო კომისიის ყოველმა წევრმა.

რაშია საქმე? თუ თქვენ უსაყვედურებთ დამფუძნებელ კრებას, რომ მან შექმნა ორგანო, რომელიც მის პოლიტიკას ხალხს აცნობებს და იცავს, და თუ ამბობთ, ჩვენ გვსურს გამოვიყენოთ ხალხის ფული იმ მიზნით, რომ პარტიული კაპიტალი გავაძლიეროთო, მაშინ მე თქვენ გეკითხებით: რა მოხდებოდა მაშინ, რომ ჩვენ სწორეთ იმ გზით წავსულიყავით, რა გზითაც მიდიოდა „მუსავატის" პარტია აღერბეიჯანში? მაშინ იტყოდით: თქვენ შექმენით პარტიული გაზეთი. თქვენმა ფრაქციამ შექმნა ისეთივე მდგომარეობა, რომელიც რუსეთში არსებობს, სადაც მხოლოდ კომუნისტური პარტიის აზრების მატარებელი გაზეთები გამოდის. მაშინ თქვენ მართლაც გექნებოდათ საბუთი. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ვიქონიოთ ასეთი გაზეთი, მაგრამ ამ გზით სიარული ჩვენ არ შეგვიძლია. მე მოგახსენებთ, რომ ყველგან, სადაც კი არსებობს ოფიციალური გაზეთი, ის სწორედ ისეთი ხასიათისა არის, როგორიც ჩვენი ოფიციალური ორგანო. რომ მართლაც შექმნილიყოს ისეთი მდგომარეობა, რომ მთავრობა იძულებული იყოს დაიცვას თავისი აზრები განსაკუთრებული დიდი გაზეთის მეოხებით, მაშინ ასეთი საყვედური, რომელიც გავიგონეთ, სამართლიანი იქნებოდა. მაგრამ მთავრობა ფიქრობდა, რომ გარდა ამ ორგანოსი, რომელიც არსებობს, არის კიდევ სხვა გაზეთებიც, რომლებიც უმეტეს ნაწილად იძლევიან ინფორმაციას მთავრობის პოლიტიკისას და იცავენ ამ პოლიტიკას. ამ მხრივ არავითარ საჭიროებას არ ვგრძნობთ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი პრესა იცავდა დამოუკიდებლობას და ამ შემთხვევაში არ იყო დიდი განსხვავება. მეორე მხრით კი, რადგან საქმე თვით მთავრობის მოქმედებას ეხება, ამისათვის არსებობს ეს გაზეთი, რომელიც ინფორმაციას იძლევა. განსაკუთრებული გაშუქება—დასაბუთება კი მთავრობის პოლიტიკისა, დღეს დღეობით არ მიგვაჩნია საჭიროდ და თუ დამფუძნებელ კრებას ჰგონია, რომ ეს საჭიროა, თუ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ გარდა ამ საშუალებისა არ შეგვეძლება მოვახდინოთ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე, მაშინ აუცილებელი გახდება ასეთი ნაბიჯის გადადგმა მთავრობის მიერ. მაგრამ დღეს დღეობით ჩვენ ასეთი აუცილებელი საჭიროება არ გვიხილავს და მაშასადამე, ზედმეტია ხარჯების გაწევა ასეთ პოლიტიკურ ორგანოს გამოცემაზე. თქვენ იცით, რომ ეს გაცილებით ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს და ეს კი ჩვენ მიზანშეწონილათ არ მიგვაჩნია. მე კი მგონია, რომ მთელი გამოლაშქრება სოც.-რევოლიუც. პარტიის წარმომადგენლებისა მხოლოდ ერთ გარემოებას მიეწერება. მე მახსოვს, ისინი სწერდენ დეპეშათა სააგენტოს შესახებ და დღის იმასვე იმეორებენ: თქვენ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ მთავრობის წევრების სიტყვები იბეჭდება სრულიად და ან იმ პირების, რომლებიც მათ დასაცავად გამოდიან. (შენგელაია—დიახ.) მე ვამბობ, რომ ეს მათი ვალდებულებაა. რასაკვირველია, იმ ხალხს, რომელსაც ლოღიკის კანონი არ შეუსწავლია, ზეპირად შეუძლიან ილაპარაკოს, მაგრამ თქვენ რომ ბრძანებით, მთავრობა ვალდებულია შექმნას ორგანო, რომელიც მის პოლიტიკას დაიცავს. მე გეკითხებით: ამ გაზეთმა უნდა მისცეს თუ არა ხალხს დასაბუთება იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს დამფუძნებელი კრება და მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა?

მე ვამბობ, რომ შეუძლებელია ყველას სიტყვების დაბეჭდვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თქვენ ბრძანებთ, ზოგიერთ დეპუტატს გრძელი სიტყვებით უყვარს ლაპარაკი. როცა ასეთია მდგომარეობა სწორედ ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ გავაცნოთ ხალხს მთავრობის პოლიტიკა. უპირველეს ყოვლისა დეპეშათა სააგენტომ და ამ გაზეთმა სწორედ ამ პოლიტიკის დამახასიათებელი სიტყვები და ცნობები უნდა მისცეს ხალხს და მე მგონია, თუ კი დგებით სწორ ნიადაგზე, აქ მთავრობის დასაწუნი არაფერი არის.

წარმოიდგინეთ, რანაირი მდგომარეობა შეიქნება, რომ მთავრობის წარმომადგენელნი ან ის ორატორები, რომელნიც მართლაც მკაფიოდ ასახელებენ მთავრობის პოლიტიკას, იყვნენ ჩაყენებულნი ისეთივე მდგომარეობაში, რომელშიაც იქნება შენგელაია, რომელსაც შეუძლია წამოაყენოს ათასნაირი ბრალდება, რომლის საბუთებიც არ მოეპოვება და ამავე დროს ჩააყენოს გაზეთი ისეთს მდგომარეობაში, რომ მას არ ექნება საშუალება მართლაც ის სიტყვები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საჭიროა ხალხისათვის ამ პოლიტიკის გასატარებლად, ვერ დაბეჭდოს და გამოაკლოს.

აი, ბატონებო, რანაირი არის მდგომარეობა და თუ მართლა მთავრობას უსაყვედურებთ იმას, რომ მან არ შექმნა გაზეთი, რომელიც დაიცავს მის პოლიტიკას, თქვენ არავითარი საბუთი არ გაქვთ ჩვენს მთავრობას უკეჟინოთ მეორე, რომ მან შექმნა გაზეთში და დეპეშათა სააგენტოში ისეთი მდგომარეობა, რომ უპირველეს ყოვლისა ის აქვეყნებს იმ ინფორმაციას, რომელიც ეხება მთავრობის პოლიტიკას და ათავსებს იმ სიტყვებს, რომელიც მთავრობის პოლიტიკას აშუქებს. ეს არის მოვალეობა ყოველი მთავრობისა და არასოდეს არც ერთი მთავრობა სხვანაირ პოლიტიკას არ აწარმოებს და მე დარწმუნებული ვარ, თუ კი მართლა თქვენ მხოლოდ ეს გაინტერესებთ, და არა პარტიული მიზანი, რასაკვირველია თქვენ ამ გარემოებას სავსებით გაიზიარებთ და მოიწონებთ იმას, რაც არსებობს.

მეორე მხრით, რამდენათაც საჭირო იყო მთავრობის პოლიტიკის დაცვა, ეს ხდებოდა როგორც სააგენტოს მხრივ, აგრეთვე ამ ორგანოს საშუალებით. და მე ვფიქრობ, რომ ეს მდგომარეობა, რომელიც არსებობს, შემდეგშიაც ასევე უნდა დარჩეს.

რასაკვირველია, თუ კი თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ, თუ დამფუძნებელი კრება საჭიროდ დაინახავს, რომ დიდი პოლიტიკური ორგანო გამოდიოდეს, მაშინ წინასწარ უნდა იყოს გადაწყვეტილი, ვინაიდან ეს მოითხოვს დიდ ხარჯებს. მაგრამ არის კი დღეს ამ ხარჯის აუცილებელი საჭიროება? ჩვენ ეს არ მიგვაჩნია საჭიროდ განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ფაქტიურად მთავრობის პოლიტიკა ასე თუ ისე ნათელი არის, ხალხი მას გაცნობილია, დიდი ნაწილი ჩვენი პრესისა მას იზიარებს. ასეთ გარემოებაში რომ შეგვექმნა ჩვენ რომელიმე ახალი ორგანო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც არსებობს საპროპაგანდო კომისია დამფუძნებელი კრებისა, ჩვენ ეს საჭიროთ არ მიგვაჩნია.

მე მხოლოდ ერთ რამეს ვისურვებ: რომ ის ხალხი, რომელიც მოითხოვს, რათა მთავრობის პოლიტიკა იყოს გაშუქებული, საპროპაგანდო კომისიის მოღვაწეობა გააფართოვონ. დასასრულ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვართ, ეს გაზეთი, როგორც არის, რომელიც ვვაწვდის ცნობებს ჩვენი მთავრობის მოქმედების შესახებ და განსაკუთრებით ადგილობრივ თვითმართველობათა შესახებ, ასეთი გაზეთის გამოცემა აუცილებელია და მე დარწმუნებული ვარ, რომ დამფუძნებელი კრება ამას დაადასტურებს.

ესეც ოპოზიციონერობაა?!

ჩვენ „ოპოზიციონერებს" ჩვეულებად გადაექცათ ამა თუ იმ უწყების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს უსათუოდ გამოამჟღავნონ წლის განმავლობაში დაგუბებული ოპოზიციონური ბოღმა. ჯერ იყო და, სოც.-ფედერალისტებმა ნიშანში ამოიღეს ფოსტა-ტელეგრაფი, რომლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას დამფუძნებელმა კრებამ რამდენიმე სხდომა მოანდომა. ეხლა კიდევ, რიგი ესერებზე მიდგა და მათაც დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე იერიში მიიტანეს მთავრობის მოამბე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაზე" და დეპეშათა სააგენტოზე მათი შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

ორივე ეს დაწესებულება იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, რომელიც თვალწუნებული ჰყავთ ბბ. ესერებს და როცა დრო იხელთენ ხოლმე, ცრუაოდენი მიზეზია საჭირო, რომ მას ჩხუბი აუტეხონ. ჩვენში ჯერ უნაკლო არა არის რა და გაზ. „საქართველოს რესპუბლიკასაც" აქვს ნაკლი, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გაზეთი საჭირო არ არის და უნდა დაიხუროს, როგორც ამას ესერები მოითხოვდენ, და არა გაუმჯობესდეს მისი შინაარსი?! გაზეთს დაუწუნეს ინფორმაცია, მაგრამ განა ჩვენში ყველა გაზეთები არ მოიკოჭლებენ ინფორმაციის მხრივ. მაგრამ ამაში დამნაშავე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" კი არ არის, არამედ—ის გარემოება, რომ არ იქნა ჩვენში ჯერ კიდევ არ მოეწყო წესიერად საინფორმაციო ორგანოები; არსებობს პრესბიურო, მაგრამ ვაი ამისთანა არსებობას... გარდა ამისა, ოპოზიციონერი ლ. შენგელაია მოითხოვდა, რომ ხსენებულ გაზეთში უნდა იბეჭდებოდეს მოწინავე წერილებიც, სადაც ნათლად უნდა იყოს გაშუქებული მთავრობის პოლიტიკაო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გვახსოვს ხსენებულ გაზეთში ერთ დროს იწერებოდა ასეთი წერილებიც, მაშინ ლ. შენგელაია და კამპანია ყველა გზა-ჯვარედინზე გაიძახოდა, რომ მთავრობის გაზეთი პარტიულია, დამატებაა „ერთობის", რომელზედაც სახელმწიფო ფულს ხარჯავსო და სხვა. ცხადია, როგორც არ უნდა გაუმჯობესდეს ეს გაზეთი, ბ-ონ ლ. შენგელაიას სურვილის თანახმად კიდევაც, რომ დაიბეჭდოს აქ მოწინავე წერილები, შენგელაიებს გაზეთის შინაარსი მაინც ვერ დააკმაყოფილებს, რადგანაც ასეთ წერილებში იქნება გატარებული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკა და არა ესერების და რა გაზეთის ბრალია, თუ საქართველოს ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა დღეს სოციალ-დემოკრატიულია და არა ესერული. სწორედ ამაზე იტყვიან: „ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტერიაო". მაგრამ როგორც ბ. ლ. შენგელაიას კამათიდან გამოირკვა, მას გაზეთის შინაარსი იმდენათ არ აინტერესებს რამდენად აწუხებს მას ის გარემოება, რომ მისი სიტყვები, ვრცლად არ იბეჭდება ხსენებულ გაზეთში; ცხადზე უცხადესია, რომ ყველა დეპუტატების სიტყვები, რომლებიც, ლ. შენგელაიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ქვეყანას აქცევენ", არ მოთავსდება ასეთ პატარა გაზეთში ვრცლად; ან რა საჭიროა ეს იმ დროს, როდესაც ყველა დეპუტატების სიტყვები სტენოგრაფიულად ცალკე ოქმებად იბეჭდება. ასე რომ, ბ. შენგელაიას სიტყვებს ამ მხრივ საფრთხე არ მოელის. ის უცვლელივ გადაეცემა ისტორიას.

ან რათ უკვირს ბ. შენგელაიას, რომ მთავრობის გაზეთში მთავრობის წევრების სიტყვები ვრცლად იბეჭდება? დიახაც, მთავრობის ხმა ამ თუ იმ საკითხის შესახებ ფართოდ უნდა გაიგოს ხალხმა.

დეპეშათა სააგენტოსაც ასეთი ბრალდება წამოუყენეს ესერების ოპოზიციონერებმა, ჩვენ სიტყვებს არ ბეჭდავენ ვრცლადო. განა შეიძლება დეპეშებში დეპუტატების სიტყვის ვრცლად მოთავსება?! ყოველივე ეს კარგად მოეხსენება ლ. შენგელაიას და კ—ნიას, მაგრამ რისი ოპოზიციონერები არიან, თუ ყველა ფეხის გადადგმაზე არ იოპოზიციონერეს...

ქ.

ფრონტიდან

ამხანაგებო და მოქალაქენო! მოგესალმებით ჩვენ, ჯარისკაცები, ის ჯარისკაცები, რომელნიც ახლა პოზიციაზე ვართ და ყოველთვის პირველ მოთხოვნილებაზე მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით.

სხვისი მიწა-წყალი ჩვენ არ გვინდა, მაგრამ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენი სამშობლოს აწიოკებას, ჩვენი თავისუფლების დაკარგვას, მაშინ მზად ვართ გალესილი ხმლით მტერზე მივიდეთ. მტერი ვერას დროს მოესწრება დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობას.

მხოლოდ თქვენ ნუ დაივიწყებთ ფრონტს, ნუ დაივიწყებთ ფრონტზე წასული ჯარისკაცების და გვარდიელების ოჯახებს. ბევრს ჩვენგანს აქვს ოჯახები მიტოვებული უპატრონოდ: ზოგს წვრილი ცოლშვილი, ზოგს დედა. მას არ ეთესება ერთი კაკალი არც პური და არც სიმინდი და ვენახებიც დაუთოხავი, მოუხვნელი და უწამლოთ ფუჭდება. აი, სწორეთ ამ პირებს ნუ დაივიწყებთ. ნუ დაგვიშურებათ მათზე ერთი დღის თქვენი ხარჯით მუშაობა, ამით უფრო გამხნევებული ვიქნებით.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას!

საქართველოს მუშათა პარტიას!

საქართველოს გმირ ჯარს და გვარდიას და მათ ხელმძღვანელებს!

№... ათასეულის ჯარისკაცი ქრისტეფორე ილიასძე **პატარიძე**.

ქუთაისი

ქუთაისის მუშათა მაგიდამ მიიღო ორი ვაგონი პურის ფქვილი და მანუფაქტურა.

— მესამე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს იაკობ ივანეს ძე კოსტავას სავსებით მოესპო მუშათა მაგიდიდან სურსათის მიღება, რადგან მან ყალბი ცნობა მიაწოდა მუშათა მაგიდას თავის ოჯახის შემადგენლობის შესახებ.

— თანახმად ქუთაისის მილიციის უფროსის მოხსენებისა ქალაქის გამგეობამ დაითხოვა შუა უბნის კომისარი არსენ ლომია.

— 1-ლ იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე 1920 წ. შრომის ბირჟაში ჩაეწერა 158 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე 59. 1 თებერვლიდან 1 მარტამდე ჩაეწერა 147. გაიგზავნა სამუშაოზე 90. 1 მარტიდან 1 აპრილამდე ჩაეწერა 162. გაიგზავნა სამუშაოზე 78. 1 აპრილიდან 1 მაისამდე ჩაეწერა 45. გაიგზავნა სამუშაოზე 90.

ნეკროლოგი.

გალაკტიონ მაისურაძე და ალექსანდრე ალბრეხტი.

აღერბეიჯანის ფრონტზე 15 მაისს გმირულად დაეცა ხაშურის გვარდიის საუკეთესო ოფიცერი გალაკტიონ მაისურაძე და ზედმდგარი ალ. ალბრეხტი.

ვერაგ მტრების მუხანათურმა თავდასხმამ ბევრი ჩვენი ამხანაგები უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს.

მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებულნი, ჩვენი ქვეყნის აღორძინების წყურვილით გატაცებულნი, ისინი მედგრად მიიწევდნენ წინ მტრის შესამუსრად, თავისუფლების დასაცავად.

ასეთები იყვნენ ეს გმირებიც.

ჩვენი ქვეყნის საშინელი წუთების დროს ესენი ერთგულ დარაჯად ედგენ მას. ყველა ფრონტებზე,—ცხინვალის აჯანყებიდან დაწყებული და გათავებული „წითელ" აღერბეიჯანისა, ესენი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ...

ორივე ერთად იბრძოდენ ყველგან და, თითქოს შეფიცულნი, სამარეშიაც ერთად ჩავიდენ...

30 მაისს, ძმათა სასაფლაოზე, ხაშურში, მიწას მიაბარეს მათი გაციებული გვამები. იმ მიწას, სადაც მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო ბელადნი განისვენებენ.

მშვიდობით ამხანაგებო!

თქვენ მიერ ამართული წითელი დროშა კვლავაც ამაყად იფრიალებს საქართველოში.

ვ. მიქაძე.

კერძო პირთა წერილები მოსკოვიდან

რედაქციაში მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი წერილები: 1) მიხეილ მიხეილისძე და ნატალია ფროლოვის ასულს არხანგელსკებს (ველიამინოვის ქ., № 16 ბინა 9); 2) მიხეილ მიხეილისძე არხანგელსკის; 3) სირანუშა გრიგორის ასულ მურაზიანს; 4) ასატურ მურატის ძე ტარვერდოვს; 5) გიორგი სტეფანესძე მოსეშვილს; 6) ოლღა გრიგორის ასულს კალიშევსკის (ყაზბეგის ქ. № 26); 7 და 8) პროფესორ სერგი გაბრიელისძე ნავაშინს (ორი წერილი); 9) ვლადიმერ და დიმიტრი ალექსისძე რიბინებს (იზმაილოვის ქ., № 10); ზინა მაქარის ასულ ჭავჭავაძეს (კადეტის შეს., № 3); 11) სუსანა პეტრეს ასულ ყირქესალოვსას (ელისაბედის და ქსენიას ქ. კუთხე); 12) ოდესი ივანესძე ლაზარევს (ვარდისუბანის ქ. № 23); 13) ვერა კოსმინის ასულ ელინას (ჭავჭავაძის ქ., № 13, ბინა 3); 14) სოფიო დავითის ასულს გურგენიძეს (ნიკოლაევის ქ. № 6), ან ნადეჟდა დავითის ასულს ჯავახოვს (ვერის მოედანი); 15) ეკატერინა სიმონის ასულს ხალატოვას (ლაბარატორიის ქუჩა); 16) ვერა ალექსანდრეს ასულს ბუკშ; 17) სოფიო ესტატეს ასულ რატიევას (პეტრე დიდის ქუჩა, 19); 18) ალექსანდრე გრიგორის ძე ბებუთოვს (ველიამინოვის ქ., № 8); 19) ტიპოგრაფ ქავთარაძეს, ან რუსიე ს, ან რომელიმე სხვა ფოტოგრაფს. მარიამ პავლეს ასულ ბორისენკოსაგან; 20) ივანე ტიმოთეს ძე ბორისენკოს; 21) სოლომონ ვლადიმერის ძე ხანზინს (ალექსანდროვის ქ., № 21); 22) ვასო ქუმსიევი ან ისაკო მიქაშავიძეს (საპიორნი ქ. 20); 23) ელისაბედ გრიგორის ასულს ნათიევს (ანასტასიას ქ., № 20); 24) ეფემია ივანეს ასულს დიმიტრიევისას (წყნეთის შესახ. 3); 25) ელენა ანდრიას ასულს ან თედორე იზმაილის ძე ბეკს (ვარდისუბანის ქ., სახლი ოსიპოვისა); 26) ე. ა. სუმბათოვისას (მიხეილის პრ., № 126); 27) ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძეს (მეორე გიმნაზია); 28) ვარვარა ალექსანდრეს ასულს სუმბათოვას (მიხ. პრ., № 126); 29) თამარა გიორგის ასულს თულაევს (ოლღას ქ., № 52); 30) ელისაბედ იულაშვილისას (პეტრე დიდის ქ., № 26); 31) ექიმ მინა ივანეს ძე მურადოვს (რტიშჩევის ქ., № 1); 32) ნინა ივანეს ასულს ღვამიჩავას (პასტერის ქ., სახლი ღვამიჩავასი);

აღნიშნულ პირებს წერილები შეუძლიათ მიიღონ გაზ. „ერთობის" რედაქციაში, მდივანთან დილის 8—3 საათ.

უცხოეთი

სომხეთი.

სამხედრო წესები. კარაკლისისა და იჯევანის რაიონებში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ქურთების თავდასხმა. გაზ. „არაჩი" იტყობინება: 21 მაისს დილით ცხენოსან და ქვეითი ქურთთა ბანდები თავს დაესხენ მოულოდნელათ სოფ. ტაზაკენის (ნოვობაიაზეთის მაზრა) და გარეკეს 300-მდე სული შინაური პირუტყვი. შეიარაღებული მცხოვრებლები დაედევნენ ყაჩაღებს, აუტეხეს სროლა; მაგრამ მხოლოდ 25 სული პირუტყვი დაატოვებინეს. ქურთები გაიქცენ და თან გაირეკეს დანარჩენი პირუტყვი; სროლის დროს მათ დაკარგეს დაჭრილ-დახოცილები 50 კაცი. 16 და 17 მაისს დარალაგეზის რაიონში შეიჭრნენ შეიარაღებული თათრები, რომელთაც მიზნათ ჰქონდათ სახული გაერეკათ საქონელი.

ზანგეზურ-ყარაბაღის ამბების გამო. იგივე გაზეთი იტყობინება: 17 მაისს სროლა სწარმოებდა ჩვენს მოწინავე რაზმებსა და მტრის მზვერავ ნაწილებს შორის. 18 მაისს სიწყნარე იყო. 21 მაისს ხდებოდა მოწინააღმდეგის მზვერავ ნაწილების გადაჯგუფება. ჯერ კიდევ 7 მაისს სომხებმა შენიშნეს მოძრაობა და ძალთა მობილიზაცია აღერბეიჯანის ჯარებში, რომლებსაც განზრახვა ჰქონდათ ყარაბაღი მოეწყვიტათ ზანგეზურზე. ამის გამო სომხები პირველათ გადავიდენ შეტევაზე. აქ მტერი დამარცხდა და კალადარასის მიმართულებით დაიხია, ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი დაჭრილ-დახოცილები. 13 და 14 მაისს ყველა ფრონტებზე სიწყნარე იყო.

ესტონეთი.

სადგილ-მამულო რეფორმა. ამ ჟამად ესტონიის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს სადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. რეფორმა 1919 წელს დაიწყო [illegible] დან 1 ივნისამდე გადმოეცა [illegible] სულ 76 მამული, სივრცით 103 900 დესიატინა. თუ ამ შედეგს მივიღებთ მხედველობაში,—უნდა დავასკვნათ, რომ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას დასჭირდება არანაკლებ 4 წლისა. სულ გადასამიჯნავია 1,117,000 დეს. მიწა. მიმდინარე წლის გაზაფხულში გლეხებს დაურიგდათ 200,000-მდე დეს მიწა, საიჯარო უფლებით 6 წლის ვადით. რადგანაც ფულის კურსი არ არის მტკიცე,—ამიტომ საიჯარო გადასახადი. განზრახულია შემოსავლიდან პროცენტების სახით: გადახდა შეიძლება როგორც ფულით, ისე ნატურითაც. ტყეები ჯერჯერობით (რაოდენობა—540.000 დ.) სახელმწიფოს ხელში რჩება. აგრარულ რეფორმის გატარებაზე მუშაობენ სოციალისტურ და გლეხთა პარტიების წარმომადგენელნი.

დანია.

სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან. მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კრასინისა და დანიის ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ფირმის წარმომადგენელის აბრაამსენის შორის სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ სასურველათ დასრულდა. აბრაამსენმა გადასცა გაზ. „ტან"-ის თანამშრომელს, რომ 23 აპრილს მათ მოაწერეს ხელი სათანადო სავაჭრო ხელშეკრულებაზე. კოპენჰაგენში მოეწყობა საერთაშორისო საანგარიშო პალატა, რომელიც ხელს შეუწყობს დანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეს.

პოლონეთი.

მცხოვრებთა გადმოსახლება. გაზეთ „ტან"-ს ვარშაველი კორესპონდენტი ატყობინებს: ებრაელები მრავლათ სტოვებენ პოლონეთს და ესახლებიან ჩრდილო ამერიკაში. აურიცხველი მთხოვნელები აწყდება ვარშავის ამერიკულ საკონსულოს. საკონსულო აპრილიდან დაწყებული დღეში 700—1000 პასპორტს იძლევა. დღემდე გაცემულია სულ 100,000 პასპორტი. ასევე მრავლათ ესახლებიან პოლონელები ამერიკიდან პოლონეთში.

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხელი სოციალისტები და კოალიცია. ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობამ 29 აპრილს დაადგინა 41 ხმით 11-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭიროს კოალიციონურ მთავრობას. უმცირესობაში დარჩენილი კომუნისტები მოითხოვდენ მთავრობიდან ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენელთა განდევნას.

დამფუძ. კრების წევრები პროვინციაში

წინამძღვარიანთ კარი. 23 მაისს, დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვარიანთ კარის თემის მრავალრიცხოვან მიტინგზე თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთეს დამფუძნებელი კრების წევრებმა ი. ტატიშვილმა, დ. ჩხეიძემ და ერობის თავმჯდომარე დ. ჯანიშვილმა. მიტინგზე დამსწრე მთელი ხალხი იწონებს მთავრობის შინაურ და გარეშე პოლიტიკას და აღუთქვამს ყოველგვარ-დახმარებას მტრების წინააღმდეგ.

ს. ქვალონი (ზუგდიდის მაზრა). 16 მაისს, შესდგა ქვალონის თემის მრავალრიცხოვანი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრენ დამფუძნებელი კრების წევრნი: იოსებ სალაყაია და ბარნაბ ძველაია. კრებამ მოისმინა რა მათი მოხსენება თანამედროვე მომენტზე, სავსებით იზიარებს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს და პოლიტიკის გზას, მიესალმება მას და მთელი თავისი ძალღონით აღუთქვამს დახმარებას სამშობლოს დაცვის საქმეში.

ს. [illegible] 12 მაისს შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. მან გააკეთა დღევანდელ მომენტზე მოხსენება. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რუსეთთან ზავი შედეგია შეურყეველ და მტკიცე პოლიტიკის წარმოებისა ჩვენი მთავრობის და ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ჯარისა და გვარდიის მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა. მიტინგი აღუთქვამს დამფუძნებელ კრებას და მის მიერ ნდობით აღჭურვილ მთავრობას თავდაცვის საკითხში იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. სალამი დამფუძნებელ კრებას, ერის სიამაყეს, მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, სახალხო გვარდიის და ჯარს.

[illegible] (ქუთაისის მაზრა). ჩვენ გვესტუმრა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. თუმცა მუშაობის დღე იყო და ცნობაც გვიან მივიღეთ, მაგრამ შუადღემდე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მოხსენება ხალხმა გულდასმით მოისმინა და მიიღო შემდეგი დადგენილება: მიტინგი აღფრთოვანებით ეგებება იმ სწორ გზას, რომელსაც ატარებს უზენაესი ორგანო, დამფუძნებელი კრება, მის მიერ წარმოშობილი მთავრობა და შეუდრეკელი ძალა თავდადებულ მებრძოლის ჩვენი რესპუბლიკის გვარდიის და ჯარის, რომლის შედეგია რუსეთთან ზავი. ფიცს ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი რესპუბლიკის და რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად.

26 მაისობა

პროვინციაში

ლალიაშის საზოგადოების მრავალრიცხოვანი მიტინგი დღესასწაულობს რა თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს განთავისუფლების ორი წლის თავს ითვალისწინებს განვლილ ტანჯვაებს და დღევანდელ ჩვენს მდგომარე-

ობას, უძლევის სალამს ხალხის ნების უზენაეს გამომხატველ დამფუძნებელ კრებას, ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს დემოკრატიულ მთავრობას, საქართველოს სასიქადულო, ბრძოლაში გაკაჟებულ და შეკავშირებულ სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა ჯარს, უსურვებს მათ სიმხნევეს და შეხმატკბილებულ წინსვლას ერის საკეთილდღეოთ.

თავმჯდომარე ჰ. ქ[illegible]ელაძე.

ფოთი. ქალაქის საბჭო, შეკრებილი დამოუკიდებლობის ორი წლის თავზე, ფიცსა სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, რომელიც ასეთი იარაღია მუხანათ მტერთა გასაგმირავათ და პოლიტიკურ და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში უტყუარი საწინდარია ერის წარმატების გზაზე სვლისა. საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას. სალამი ჩვენს სახელოვან ჯარსა და გვარდიას, რომელიც თავისი გულმკერდით იცავს სამშობლოს თავისუფლებას.

საბჭოს თავმჯდომარე **ხახუხაძე**.

ახალქალაქი (გორის მაზრა). დილიდანვე ქუჩებში გაისმოდა ზურნის და მუსიკის ხმა, ხალხი საზეიმოთ გამოწყობილიყო, მთელი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა ახალქალაქში მოიყარა თავი, იყვნენ მოწაფეებიც მასწავლებლებით თითქმის ყველა თემის სკოლებიდან. ყველას სახეზე ღიმილი ემჩნეოდა, ყველა ხარობდა. ქუჩები ალაგ-ალაგ მორთული იყო მწვანეებით, ეროვნული დროშებით და ხალიჩებით. მოედანზე ნაშუადღევის 1 ს. გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. ილაპარაკეს რამოდენიმე ორატორებმა 26 მაისის მნიშვნელობაზედ და ბევრ სხვა კითხვებზე. მიტინგმა დასასრულ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა დეპეშით მთავრობის თავმჯდომარეს. ამავ მოედანზე გაიმართა ჭიდაობა და რამდენიმე ალაგას ცეკვა-თამაში. მიტინგის გათავების შემდეგ გაიშალა სუფრები და გაიმართა ქეიფი, რამაც საღამომდე გასტანა. ხალხურ კლუბ „ინტერნაციონალის“ დარბაზში გაიმართა წარმოდგენა. კლუბის კარები განათებული იყო ფერადათ, ისროდენ მუშხუნებს და სხ.

გარ-ული.

წერილი ზემო აჭარიდან

ბევრი ეცადნენ ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტრებმა, მოსყიდულმა აგენტებმა, რომ ზემო აჭარის მცხოვრებლები აემხედრებინათ საქართველოს ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ხულოში დგას. ქობულეთიდან თითქმის ყოველდღე ამოდიოდნენ აქ მოსყიდული პირები და ავრცელებდენ ხალხში ხმებს, რომ თითქო ისინი გამოგზავნილი არიან ინგლისელებისაგან.—ინგლისი გპირდებათ პურს, ტანსაცმელს და ყოველივე სიკეთეს, თუ აქედან საქართველოს ჯარს გადენითო,—ეუბნებოდენ და ახლაც ეუბნებიან ისინი ხალხს.

მაგრამ აქაური მცხოვრებლები უფრო შეგნებული გამოდგნენ, ვინემ ზოგიერთი ქობულეთლები. საზოგადოთ ცნობილი იყო, რომ ქობულეთლები უფრო შეგნებულნი არიან, ვინემ აჭარლები. მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა დაგვიმტკიცეს, რომ აჭარას უფრო შეძლებია მდგომარეობის დაფასება, გარემოების შეგნება, ვინემ ზოგიერთ ქობულეთლებს რომელნიც აჰყვნენ ბნელ პირებს, უეჭველ მოსყიდულ აგენტებს ვინც. ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული პირი რომ მეთაურობდეს მათ, მაშინ ვიტყოდით, რომ ნასწავლმა კაცმა დააჯერა ისინი, მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, თუ ვინაა მათი მეთაურები. ასე შეარცხვინეს სამუდამოთ თავი ზოგიერთმა ქობულეთლებმა, აჰყვნენ გაუნათლებელ, ბნელ პირებს და ჩავარდნენ ყოვლად სამარცხვინო მდგომარეობაში. და ეს ქნა ქობულეთმა, იმ ქობულეთმა, რომლის შესახებ გვეგონა, რომ აჭარას გაუსწრო შეგნებით.

სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვიმტკიცა, აჭარამ შეიგნო, რომ ვიღაც შეითანი ცდილობს მისი ბნელ მიზნებისათვის ქართველ მუსლიმანების და ქართველ ქრისტიანების ერთმანეთში წაკიდებას; ცდილობს ძმა ძმას გადაამტეროს. შეიგნო ეს და ბნელი პირები ახლოსაც კი არ გაიკარა.

70 სოფლების წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ საქართველოს ჯარი დიდათ სასურველია აჭარაში დარჩეს. კიდევ უკეთესი იქნება, თუ საქართველო მთელ ბათუმის ოლქში შემოიყვანს თავის ჯარებს.

ასეთია სურვილი ზემო აჭარის მცხოვრებლებისა. მაგრამ გამოგვიჩნდა ერთი ქობულეთისებური პატარა კუთხე, რომლის ნაწილი აჰყვა ქობულეთელ მოსყიდულ აგენტებს, ეს პატარა კუთხე გახლავთ ჭვანის ხეობა.

70 სოფლების წარმომადგენლებმა გაუგზავნეს ჭვანელებს დელეგაცია და შეუთვალეს მათ, რომ თუ ისინი ხელს არ აიღებენ თავის სამარცხვინო განზრახვაზე და საქართველოს ჯარის საწინააღმდეგოთ რამეს მოიმოქმედებენ, მაშინ მთელი ზემო აჭარა ჭვანას გაანადგურებს.

ჭვანაში ავტომობილით ამოვიდა ქობულეთლების შემრცხვენელი ვიღაც ქესკინ-ზადე. ამბობენ, რომ ეს ქესკინ-ზადე სარდლობდა ქობულეთლებსო. ძმებო ქობულეთლებო! ნუ თუ თქვენ ისე დაგეკარგათ თავის თავისადმი სიყვარული, რომ ასეთი „სარდალი“ გყავდათ? ვაი სარცხვილო... როდის იყო, რომ ქესკინ-ზადე ავტომობილებით დაქროდა. ეტყობა, რომ მას შეითანმა გაუბერა ჯიბე ჩვენი ხალხის მოსატყუებლათ. ამ ქესკინ-ზადემ ჭვანაში შემოიღო საბაჟო. ამბობენ, რომ ქობულეთშიაც დააწესა მან რაღაც „პროპუსკები“ და ასეთები და ამაში ხალხს ფულებს ახდევინებდაო. ვერ დავიჯერებ, რომ ეს ყოფილიყოს, ვერ დავიჯერებ, რომ ქობულეთლებს ასე დაეჯინოთ თავზე ვიღაც ქესკინ-ზადე. და თუ ეს მართალია, ქობულეთლებს შეუგნებლობის ბურუსი დაპატრონებია.

ზემო აჭარა ფხიზლათაა, მან იცნო თავის მტერ-მოყვარე, გაიგო, რომ ერთად-ერთი ხსნა საქართველოსთან ერთობაშია. ზემო აჭარა სწუხს, რომ ქობულეთმა ეს ვერ შეიგნო, თავის მოქმედებით მტერი გაახარა და თავის თავს კი ჩირქი მოსცხო.

არც დიდი ჭკუა და არც დიდი ცოდნაა საჭირო, რომ მიხვდეს კაცი, თუ ვინ არის, რომ ჩვენ და ჩვენი ძმების, ქართველ ქრისტიანების, ერთმანეთში წაკიდებას ცდილობს. ნუ თუ ამის გამოცნობა ძნელია. ჩვენ არ უნდა ავყვეთ ჩვენი ქვეყნის მტრებს, ჩვენ ის უნდა მოვიმოქმედოთ, რაც ჩვენს მტერს არ ესიამოვნება.

ზოგიერთ ქობულეთლების საქციელი კი ძლიერ ესიამოვნა ჩვენს მტერს, ესიამოვნა კი არა, ქობულეთლების „ფრონტი“ ამ მტერმა მოაწყო.

ვისაც ეს არ ესმის, ის ყოვლად უვიცი პიროვნებაა.

ზემო აჭარას ესმის ეს და ის არასოდეს არ ჩაიდენს ისეთ რამეს, რაც ჩვენ მტერს გაახარებს.

(„სამუს. საქ.“) **ზემო აჭარელი.**

პროფ. კავშირებში

რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის თფილისის განყოფილების საერთო კრებამ, რომელიც შედგა 25 მაისს, მოისმინა რა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება სამხედრო მინისტრის კომისიის წევრებისა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმის ღულაძის და იმავე ჰოსპიტალის ექიმთა კოლეგიის შორის მომხდარ კონფლიქტის გამოკვლევა და გაეცნო რა წარმოდგენილ მასალას, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) ექ. ღულაძისა და ექიმთა კოლეგიის შორის მომხდარ კონფლიქტის მთავარი მიზეზი ყოფილა თვით ფ. ღულაძე, მისი არა კოლეგიალობა და სრული უტაქტობა. მას არ შესძლებია თვისი მოქმედების შეფარდება თანამედროვე ცხოვრების პირობებთან, რომელნიც მოითხოვენ უფრო მეტს პატივისცემას ადამიანის პიროვნებისადმი და რაც შეადგენს აუცილებელ პირობას სოლიდარული და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამა თუ იმ დაწესებულებაში. 2) ამავე დროს კრება ჰგონებს, რომ ექიმთა კოლეგიის ულტიმატიური ხასიათის მოთხოვნა ექ. ღულაძის ჰოსპიტლიდან წასვლის შესახებ ფორმალურის თვალსაზრისით არ არის სავსებით მოფიქრებული და მისაღები ნაბიჯი, მაგრამ ეს ნაბიჯიც ბუნებრივი შედეგია იმ მეტად მძიმე ატმოსფერისა, რომელიც შექმნილა ჰოსპიტალში ბ-ნ ღულაძის მეოხებით. 3) დასასრულ კრების ღრმა რწმენით სამხედრო ჰოსპიტალის ცხოვრება ვერ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, ვიდრე ამ დაწესებულების სათავეში იდგება ბ-ნი ღულაძე. კრების ხსენებული დადგენილება ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ საექიმო კოლეგიალურ ერთეულებს და აგრეთვე ბ-ნს სამხედრო მინისტრს.

გორის ფონდი

ბორჩალოს მაზრის სახალხო გვარდიელებმა შესწირეს გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გორელებისთვის, შტაბში მდგომ კადრ. გვარ. 900 მ., ს. რატევანის გვარდიელებმა 1300 მ., ხატისოფლის გვარდიელებმა 1060 მ., ს. ვარდის უბნის გვარდიელებმა 700 მ., ს. მიჯრის გვარდიელებმა 600 მ., ს. ბალიჭების გვარდიელებმა 270 მ., ს. ტამის გვარდიელებმა 400 მ., ს. კაზრეთის გვარდიელებმა 300 მ., ს. ყალაშის გვარდიელებმა 380 მ., ს. პატარა დუმანისის გვარდიელებმა 350 მ., ს. ბოსლემის გვარდიელებმა 100 მ.. სულ 6.260 მან.

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 3 მაისს იქნა მოწვეული თელავის ს. დ. ორგ. პარტიული ყრილობა. დაესწრო წევრების უმრავლესობა. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება დღევანდელ მომენტზე, 2) მოხსენება პარტიული კონფერენციის საკითხების შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველად მოხსენებას აკეთებს ამხ. ბაგრ. ქუმბურიძე თანამედროვე მომენტზე. მოხსენება საყურადღებო იყო, რითაც ყრილობა კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ამისა დამფუძნებელი კრების წევრი ი. ბადრიძე აკეთებს მოხსენებას პარტიული კონფერენციის საკითხების შესახებ. მომხსენებელი შეეხო ყოველ საკითხს ცალკე და გაარკვია. ზოგმა საკითხმა გამოიწვია კამათი წევრთა შორის. ყრილობამ მიიღო, მოწვეულ იქნას სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია 16 მაისს დელეგატების ასარჩევათ. ამავე დროს მოწვეულ იქნას თელავის პარტიული ყრილობა დელეგატის ასარჩევათ და სხვა საკითხების გასარკვევათ.

---

16 მაისს მოწვეულ იქნა სამაზრო კომიტეტის მიერ თელავის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობა, დაესწრო სოფლებიდან ორმოცი დელეგატი. ყრილობა ირჩევს თავმჯდომარეთ თ. ჩანგაშვილს მის ამხ. კ. სეხნიაშვილს, მდივნათ ლ. გოგიაშვილს, საპატიო თავმჯდომარეთ ამხ. ალ. ლომთათიძეს. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის წევრისა, 2) განხილვა ყრილობის დღიურ წეს-რიგისა, 3) მიმდინარე საკითხები, 4) არჩევნები დელეგატებისა. ამხ. ალ. ლომთათიძე აკეთებს მოხსენებას ცენტრალურ კომიტეტის მოქმედების შესახებ, რომლის შემდეგაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია.

თელავის სამაზრო ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლომთათიძისა ცენტრ. კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, ყრილობა აღიარებს, რომ ცეკას სავსებით სწორი პარტიული ხაზი აუღია თავის რთულ მუშაობაში, მისი ხელმძღვანელობით პარტიას გაუკეთებია დიდი საქმე დემოკრატიულ წეს-წყობილების განმტკიცებისა და რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებაში, იზიარებს მის მოღვაწეობას და გადადის მორიგ საკითხზე. ამხ. ლომთათიძე აცნობს კრებას მომავალ პარტიულ ყრილობაზე განსახილველ საკითხებს, რასაც კრება იღებს სავსებით. დავას იწვევს მხოლოდ ერთი საკითხი: მისაღებია თუ არა, რომ ცენტრ. კომიტეტში შედიოდენ მთავრობის წევრები. ამის გარშემო იმართება კამათი. არიან მომხრენი და წინააღმდეგნი. კენჭის ყრით ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა: დაუშვებლათ მიაჩნია, რომ მთავრობის წევრი იყოს ერთ და იმავე დროს წევრი ცენტრალური კომიტეტისა. პარტიულ ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ: თ. ჩანგაშვილი, არჯევანიძე და თევდორაშვილი.

15 მაისს, თელავის სოც.-დემ. ორგანიზაციის პარტიულმა კრებამ ყრილობაზე გასაგზავნათ აირჩია ამხ. ს. მჟავარიანი.

ალ. ჩიტოშვილი.

მუშათა შორის

რკინის გზის სტამბის ლიტოგრაფიის მუშების ცხოვრებიდან. 29 მაისს შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო დასმული ჯამაგირების მომატება. კრებას დაესწრო ცენტრალურ და რაიონის წარმომადგენელი, რომელთაც კრებას აუხსნეს და განუმარტეს, რომ მარტო სტამბის მუშებისთვის ჯამაგირის მომატება, რადგანაც სტამბის მუშების ჯამაგირებიც გამომდინარეობს დამტკიცებულ ყრილობის მიერ კატეგორიებით, დღეს-დღეობით შეუძლებელია. რაც შეეხება გადაშინჯვას, იქნება გადაშინჯული და შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილებულიო. კრებამაც სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა.

ერთის მხრით მართლაც რაღაც გაუგებრობაა აქაურ მუშებში: ზოგს ჰგონია როგორც ჯაბადართან და ლიბერმანთან, როგორც კერძო მწარმოებელთან, შეიძლებოდეს ჯამაგირების მომატება. ავიწყდებათ ის გარემოებაც, რომ დღეს არსებობს სატარიფო პალატა მოკარნახე და გამათანასწორებელი ჯამაგირების, რომ ისინი არიან სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურენი და ყველა გაღებულ კაპეიკს უნდა ჰქონდეს ნებართვა სახელმწიფო კანტროლის და რომ სხვა გზით ცხოვრებაში ფულის ხარჯის გატარება შეუძლებელია.

მართალია, აქაური მუშის ჯამაგირი ძლიერ განსხვავდება სხვა სტამბა-ლიტოგრაფიის მუშის ჯამაგირებიდან, მაგრამ ყველა ამას ხომ ესაჭიროება დაფიქრებული და აზრიანი მუშათა კავშირების შემადგენლობით?

ადმინისტრაცია თავის მხრივ ცდილობს რამდენადაც მას კრედიტი ნებას აძლევს გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა, მაგრამ ძველი „სმეტით“ მოუხერხებელია.

საჭიროა ცენტრმა დაჩქარებით გადასინჯოს აქაური ჯამაგირები, ვიდრე ახალი „სმეტა“ შემუშავდება და მიიღოს მხედველობაში ის გარემოება, რომ მოთხოვნილება ასოთ ამწყობებზედ ძალიან დიდია და ქალაქის მუშათა ხელფასი აღემატება ათას და ორიათას მან. შედარებით და, რომ მათი ჩაყენება რკინის გზის დეკრეტით მიღებულ კატეგორიებით შეუძლებელია, ვინაიდან ბეჭდითი მუშებზე მოთხოვნილება გაცილებით აღემატება სხვა დარგის ხელოსნებს.

„ობე ი“

თფილისი. კვირას, 30 მაისს, შესდგა მეექვსე რაიონის მეაბანოეთა კრება. მოხსენება გააკეთეს ამხანაგებმა სარდიონ თევზაძემ და ვარდოიანმა დღევანდელ მომენტზე.

მოხსენების შემდეგ შეტანილ იქნა შეკითხვები. მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „ჩვენ, აბანოებში მომუშავეთა კრებამ მოვისმინეთ რა მოხსენება, ვიწონებთ ჩვენი მთავრობის მუშაობას როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეების წარმოებისას, მხარს ვუჭერთ მას და აღუთქვამთ დახმარებას, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებთან ბრძოლაში.

ჩ. ტ.

ქუთაისი. პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირი არსებობს 1917 წლის აპრილის თვიდან. დღიდან არსებობისა, კავშირს არ ჰყოლია დაქირავებული მდივანი. გამგეობის წევრთა შორისაც არ აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელსაც შესძლებოდა მდივნის მოვალეობის ასრულება. ცხადია, ამიტომ კავშირსაც არ ჰქონდა სასურველ დონეზე დაყენებული კანცელარია. ამ მხრივ კავშირი იმყოფებოდა ყოვლად უმწეო მდგომარეობაში. წარმოიდგინეთ ოქმებიც კი არ იწერებოდა გამგეობის სხდომებისა! 1919 წლ. ოქტომბრის თვიდან კავშირს ჰყავს მდივანი—არა დაქირავებული, რომლის მუშაობით კავშირის კანცელარია დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე ამხანაგი მდივანი ყოფილა კავშირის თავმჯდომარეც და როგორც გადმოგვცეს, მუშაობს ერთ-ერთ საპარიკმახეროშიაც. ცხადია, ვერ შესძლებს ორი მოვალეობის ასრულებას! სხვა რომ არა იყოს, მოუღებელია: ერთი და იგივე პიროვნება იყოს თავმჯდომარე და მდივანიც!..

„კავშირის წევრი.“

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

ყარაიაზის რაიონი (ს. ერთობა). უმეტეს ნაწილმა მკითხველი საზოგადოებისამ არც კი იცის ასეთი სოფელი არსებობს თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში. დიახ, ეს ახალ დაარსებული სოფელია ყარაიაზში ჩამოსახლებულთათვის. არსებობს სხვა სოფლებიც ჩამოსახლებულთა, მაგალითად, სოფელი ძმობა და თავისუფლება.

მაგრამ გაზეთებში არაფერი იწერება ამ სოფლების შესახებ. ეს აიხსნება მით, რომ ამ სოფლებში არ მოიპოვებიან ხალხის გულშემატკივარი ინტელიგენტები. აქაურები ხშირად მართავენ კრებებს, ბჭობენ საჭირბოროტო კითხვებზე, მაგრამ მათი სურვილი და კრების დადგენილებებიც რჩება მხოლოდ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. არ არსებობს არც სოციალდემოკრატიული, არც სხვა პარტიული ორგანიზაცია. თფილისის სამაზრო კომიტეტი რამდენჯერმე დაგვპირდა ჩამოსახლებულებს ინსტრუქტორის გამოგზავნას, მაგრამ დაავიწყდათ. ასეთი უმეთაურობის გამო გადმოსახლებულებში გულგრილობაა გამეფებული. სწორეთ ასეთი სურათი იყო პირველ მაისს.

გამართულ კრებაზედაც ყველანი ერთი მეორეს ვესაყვედურებით. დღეს პირველი მაისია. მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი მთელი ქვეყნის მუშებთან ერთად დღესასწაულობს დღევანდელ დღეს, აქ ჩვენ დრომაც არ გვაქვს, რომ კრების ადგილზე გამოვკიდოთ მაინც, მაგრამ ამ დროს თითქოს პირველ მაისმა გამოგვიგზავნაო, კრებაზე მოდის ახლათ დანიშნული რაიონის კომისარი გოცირიძე. მას თან მოყვა რამოდენიმე ადგილობრივი მოსამსახურე ინტელიგენტები. კრებაც ცოცხლდება. კომისარი გვაცნობს თავის მოქმედების გეგმას, თუ როგორ იმოქმედებს ის ყარაიაზის რაიონში; მას ჩვენ შეუნიშნავს, რომ აქ შეუძლებელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კანონებით ხელმძღვანელობა, აქაურ ადმინისტრატორს სურს განსაკუთრებული უფლებები და ამას ცდილობს. ხალხი ჯერ-ჯერობით ძლიერ მოხარულია გოცირიძის მოქმედებით და დიდი კმაყოფილიც.

ძველი კომისრის ბ. ორჯონიკიძისაგან იმედ დაკარგულთ კვლავ ეძლევათ იმედი. მართლაც, აქ ყარაიაზში, შეუძლებელია ცხოვრება განსაკუთრებით ქართველებისთვის, თუ ქურდების წინააღმდეგ არ იქნა სასტიკი ზომები მიღებული. თუ რამე საქონელი გყავს, დღე და ღამე მასთან უნდა იყვე, თორემ თუ ერთი თვალი შეაცილე მას მერე ვეღარ იპოვი. ადგილობრივი თათრები ძლიერ დახელოვნებული ქურდებია და ამის მიზეზით ქურდობაც ძლიერაა გახშირებული.

ამისათვის რაიონის კომისარი პირდაპირ მალამოსავით მოევლინება აქაურ ჩამოსახლებულებს, თუ მან შესძლო განსაკუთრებული უფლების მოპოვება და ქურდების აღაგვა, რაშიაც მთელი ხალხი მხურვალეთ დაეხმარება. როგორც ყველა ჩამოსახლებულები, ისე შრომის მოყვარე თათრები გამოთქვამენ იმედს, რომ იქნება სასტიკი ზომები მიღებული ქურდების წინააღმდეგ. ამის შემდეგ კომისარი გაეცნო კრების დღის წესრიგს და მთავარ ყურადღებას აქცევს ბიბლიოთეკის საკითხს. რამდენი არ ვეცადეთ მკითხველთა და დღემდის ვერ მოვაგვარეთ ეს საპატიური საქმე. არც ამ დღეს იყო იმედი, რომ ამ საქმეს სასურველათ დავაგვირგვინებდით, მაგრამ აქაც დიდი დახმარება გაგვიწია ბ. გოცირიძემ. აგვარჩევია ბიბლიოთეკის ფონდის შემკრები კომისია, რომ ამითი საფუძველი ჩაეყაროს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმეს. თავის მხრით იმ წამსვე გაიღო ამ საქმისათვის ხუთასი მანეთი. მას მიბაძა შემდეგ სხვა პირებმაც. კრებაზე იყვნენ თათრების საპატიო პირები, მათაც შემოსწირეს. შემოსწირეს: პ. გოცირიძემ 500 მ., პ. ქაცარავამ 500 მ. და ექვსი თვით გაზეთი „ერთობა“, ალიბეგ ისკანდერ-ოღლიმ 500 მ., ქიაზუმ მამადი-ოღლიმ 500 მ., აპოლონ ქელიძემ 100 მ., არქიფო კობიძემ 500 მან., მიხა გილანოვმა 500 მან., კარატაფის მცხოვრებმა № 1 250 მ., კარატაფის მცხოვრები № 2250 მ.

არჩეულ იქნენ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა კომისიაში ადგილობრივი ექიმი ჯაჯანიძე და არქიფო კობიძე და ქიაზუმ მამადი-ოღლი. კრების სახელით დიდ მადლობას უძღვნი ყველა ზემოხსენებულ პირებს.

კრების თავმჯდომარე **მელიტონ ვასილის ძე ლეკვეიშვილი.**

თიანეთი. მოეწყო სამაზრო ერობის გამგეობის მიერ საარჩევნო სიების შედგენა, რისთვისაც ხდება მოქალაქეთა ახალი აღწერა. სიების შედგენა გაგრძელდება ერთი თვე. სიები საჭიროა უპირველესად ყოვლისა თემების არჩევნებისათვის, რომლის არჩევნები უნდა მოხდეს მარიამობისთვის დამლევს; ეს სია გამოდგება სამაზრო ერობის არჩევნებისათვისაც, რომელიც უნდა მოხდეს ნოემბერში.

— მაზრაში მხოლოდ ხუთი თემი ეწყობა (ერწო, ახმეტა, თიანეთი, ფშავეთი და ხევსურეთი), ძლიერ გაჭირდება თემების გამგეობების შედგენა, ვინაიდგან ადგილობრივათ სრულიად არ მოიპოვება კულტურული ძალები.

— ცნობილმა ყაჩაღმა დავით არაბულმა შემოიკრიბა თავის გარშემო სხვა ყაჩაღები და სძარცვამს მგზავრებს საბადურის ღელეზე; საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება.

— თიანეთის ერობა ამზადებს სამხედრო სამინისტროსათვის ხორბლეულობას, უკვე სამი ვაგონი ჩააბარა. ახალი მოსავლისას ერობა შესძლებს კარგა ბლომა ხორბლეულობა დაამზადოს სამხედრო სამინისტროსათვის.

— ერობის გამგეობამ მოიწვია ტექნიკური განყოფილების გამგეთ ინჟინერი ევსტრატოვი და მის თანაშემწეთ ტექნიკი ხვედელიძე, მედიკო-სანიტარული განყოფილების გამგეთ ექიმი სოხორი და მისი თანაშემწეთ ერწოში ექიმი ბაქრაძე.

— მე-III ხმოსანთა ყრილობამ გაანაწილა განყოფილებები გამგეობის წევრთა შორის შემდეგნაირათ: გამგეობის თავმჯდომარე ვლ. თ. პაპავა, ადმინისტრატიული, სკოლა, ფინანსიური; გამგ. წევრი არ. დოლიძე: ტეხნიკური, სასურსათო-საწარმოო და ბინა. გამგ. წევრი ნალბაიძე აგრონომიული, აგრარული და სამხედრო. გამგ. წევრი დელიაშვილი მედიკო-სანიტ. და საბეითლო.

— აზერბეიჯანთან ომში ხალხი მზათაა დახმარება გაუწიოს ყოველ მხრივ მთავრობას. მობილიზაცია კარგათ ტარდება. დეზერტირებს თვით ხალხი სდევნის.

— 15 მაისს თიანეთს ესტუმრა ამხ. ისიდორე რამიშვილი. მან მოხსენება გააკეთა 16 მაისს მაზრის პარტიულ კონფერენციაზე და აგრეთვე მიტინგებზე, რომელიც მოეწყო დ. თიანეთში, ნაქალაქარში, სვიმონიანთ-ხევში და ახმეტაში. ყველგან კმაყოფილი დარჩნენ მოხსენებით და გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები.

პავლე.

ბორჯომი. აქ დაარსდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში არსდება ასეთი ორგანიზაციები, მხოლოდ ბორჯომში არ იყო ის, მიუხედავათ იმისა, რომ აქ საკმაო ძალები მოიპოვებოდა ორგანიზაციის შესაქმნელად და მის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად. ძალიან დასანანი იყო ეს, მაგრამ, მოწინავე ამხანაგების ცდით ბოლოს და ბოლოს ამ ორგანიზაციას ბორჯომშიაც ჩაეყარა საფუძველი. ორგანიზაციამ თავიდანვე ენერგია და ცხოველ-მყოფელობა გამოიჩინა. აწყობს რეფერატებს თავის წევრთათვის: მართავს ლექციებს საჯაროთ და ამ რიგათ საშვალებას აძლევს როგორც თავის წევრებს, აგრეთვე გარეშე საზოგადოებასაც, გაერკვიოს მიმდინარე რთულ მომენტში, სწორად შეიგნოს ის და ამით ცხოვრებაში ბრმათ ხეტიალი თავიდგან აიცილოს. 6 მაისს ორგანიზაციამ გამართა საჯარო ლექცია მიმდინარე მომენტზე. მომხსენებლათ მოწვეული იყო ამხ. სვიმონ კახდელაკი; უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი უფროსი ამხანაგები და განსაკუთრებით ამხ. სვიმონი დიდის ყურადღებით ეპყრობიან ჩვენს ორგანიზაციას და შეძლების დაგვარად ყოველგვარ დახმარებას უწევენ მას. მომხსენებელმა ვრცლათ დაასურათა მიმდინარე მომენტი. აღნიშნა, ჩვენი პარტიის სწორი გზა, გაარკვია აძერბეიჯანში მომხდარი ამბები, აგრეთვე მიზეზები ბოლშევიკების და ოსმალეთის შეკავშირებისა. დასასრულ უსურვა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს ნაყოფიერი მუშაობა. საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ დაესწრო ლექციას, მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ის. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. სვიმ. კახდელაკის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ბორჯომის ახალგაზრდა მარქსისტები და აგრეთვე კრებაზე მყოფი საზოგადოება სავსებით იზიარებს მთავრობის და სოც.-დემოკ. მუშ. პარტიის მიერ წარმოებულ პოლიტიკას და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას“,

ვ. ბერიძე.

ცნობები

ჩემი ძმისწული ტარასი ნიკოს ძე შენგელია წავიდა ბათომში იანვარში 1919 წელს და მას აქეთ არაფერი ვიცი მისი. თუ ვინმემ იცის რამე გვაცნობოს შემდეგი მისამართით: **ტობანიერის თემი—ლევან შენგელიას.**

ჩვენი ფოსტა

დ. ხაზუმე. ანდრო პავლეს ძე შენგელიას. გაზეთი გეგზავნებათ 15 მაისიდან. მოიკითხეთ ადგილობრივათ.

ოზურგეთი. ექიმ აბაშიძეს. საექიმო განცხადება თვეში ღირს 810 მან.

განცხადებანი

რკ. გზის სამოსწავლო განყოფილებას

ესაჭიროება

პარტები: საკლასო დაფები, კათედრები, შვედური ჩოთქები, ვენის სკამები და სახელმძღვანელო წიგნები. ცნობებისთვის მიმართეთ: ელისაბედის ქ. № 200 სამოსწავლო განყოფილებას, დილის 9—3 ს-მდე. (1675—7—4)

იყიდება

ერთი მატორი 20 ძალიანი

ოტოდეიცის, 1 ხერხის დაზგა, თუჯის, 2 ნავთის ქვაბები, რომელშიაც ჩადის 350 ფ., 8 ხერხი რგვალი 3 ვერშ.—10 ვერშ. 1—წისქვილი ხელოვნური ქვით „შარიკებზედ“, 2—„ვაგონეტკა“, 22 არშინი რელსები და სხვა. პირობების გაგება შეიძლება ქ. სამტრედიაში სოლომონ მიქელაძის სახლში ადეიშვილთან. (1744—3—2)

განცხადება

რკინის გზის სასწავლებელთან არსებულ საქსოვ სახელოსნოში საჭიროა გამგე. პირობების გაგება შეიძლება რკ. გზის სამოსწავლო უწყებაში ელისაბედის ქ. № 200. (1748—5—2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ცეკვის სასწავლებელი

ი. ა. როზენბერგისა

არსებობს 27 წელიწადი, ასწავლის სპეციალურად: აზიურს, საბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველდღე. დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 101. (527—5—2)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი გ. ვოლშტეინი

თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

ე. გ. მქინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—1)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჰლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

კბილის ექიმი

ე. თ. ლორის-მელიქოვი

ჯიგლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიის ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—5)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.